

ევროკავშირი გარემოსთვის (EU4Environment) აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში:
წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემები (ENI/2021/425-550)

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში წყლის მართვის ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების კატალოგი



© Rbrechko, 2017



Funded by
the European Union

EU4Environment
Water and Data in Eastern Partner Countries

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში წყლის მართვის ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების კატალოგი

ევროკავშირი გარემოსთვის (EU4Environment) აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში:
წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემები (ENI/2021/425-550)

კატალოგის შესახებ

ავტორები:

მარგო კლარისი, წყლის საერთაშორისო ოფისი
მაქსიმ ფუიეტი, წყლის საერთაშორისო ოფისი

კატალოგის მომზადებაში წვლილი შეიტანეს:

ალა ალ დუარი, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი
გაი ჰალპერნი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
ტაკაიოში კატო, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
პეგი მაკაინი, ავსტრიის გარემოს სააგენტო
ფილიპ სიგანი, წყლის საერთაშორისო ოფისი
პიტერ ტრამბერენდი, ავსტრიის გარემოს სააგენტო
დანიელ ტრაუნერი, ავსტრიის გარემოს სააგენტო
ალექსანდრე ზინკე, ავსტრიის გარემოს სააგენტო

ფოტო თავფურცელზე

თავფურცელზე მოცემულ ფოტოზე ნაჩვენებია დნესტრის კანიონი, რომელიც მდებარეობს მდინარე დნესტრის ხეობაში, უკრაინაში. 2010 წლის 3 თებერვალს რეგიონალურ ლანდშაფტურ პარკს „დნესტრის კანიონი“ ეროვნული პარკის სტატუსი მიენიჭა. ფოტო გადაღებულია რბრეკოს მიერ 2017 წელს.

დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და შემუშავდა პროგრამა - ევროკავშირი გარემოსთვის (EU4Environment) - წყლის რესურსების და გარემოსდაცვითი მონაცემების, კონსორციუმის პარტნიორების მიერ. აქ გამოთქმული შეხედულებები არ შეიძლება მიჩნეული იყოს ევროკავშირის ან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობების ოფიციალურ მოსაზრებად. ეს დოკუმენტი და აქ შეტანილი ნებისმიერი რუკა ზიანს არ აყენებს ნებისმიერი ტერიტორიის სტატუსს ან სუვერენიტეტს, საერთაშორისო საზღვრებსა და საზღვრების დელიმიტაციას, და ნებისმიერი ტერიტორიის, ქალაქის ან ადგილის სახელს.

„ევროკავშირი გარემოსთვის (EU4ENVIRONMENT) - წყლის რესურსების და გარემოსდაცვითი მონაცემების“ პროგრამის შესახებ

ეს პროგრამა მიზნად ისახავს ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და მათი მწვანე ტრანსფორმაციის ხელშეწყობას ევროპული მწვანე შეთანხმებისა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესაბამისად. პროგრამის აქტივობები ორ ძირითად მიზანზე დაყრდნობითაა შემუშავებული: 1) წყლის რესურსების უფრო მდგრადი გამოყენების მხარდაჭერა; და 2) ზუსტი გარემოსდაცვითი მონაცემების გამოყენების ხელშეწყობა და მათი პოლიტიკის შემქმნელებისთვის და მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. ის უზრუნველყოფს საერთო გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემის II ფაზის და ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლუსის უწყვეტობას აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამებისთვის.

პროგრამას ხუთი პარტნიორი ორგანიზაცია ახორციელებს: ავსტრიის გარემოს სააგენტო (EAA), ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), წყლის საერთაშორისო ოფისი (OiEau) (საფრანგეთი), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის (UNECE). პროგრამა ძირითადად ფინანსდება ევროკავშირის მიერ და თანადაფინანსებულია ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს და საფრანგეთის არტუა-პიკარდის წყლის სააგენტოს მიერ. პროგრამის ბიუჯეტი 12,75 მილიონ ევროს შეადგენს (12 მილიონი ევროკავშირის კონტრიბუცია) და მისი განხორციელების პერიოდია 2021-2024 წლები.

<https://eu4waterdata.eu>

იმპრინტი

მფლობელი და რედაქტორი: ევროკავშირი გარემოსთვის 21 (EU4Environment) - წყლის რესურსების და გარემოსდაცვითი მონაცემების კონსორციუმი

Umweltbundesamt GmbH	Office International de l'Eau (IOW)
Spittelauer Lände 5	21/23 rue de Madrid
1090 Vienna, Austria	75008 Paris, FRANCE

დოკუმენტის რეპროდუცირება დაშვებულია მისი წყაროს მითითების შემთხვევაში.

2024 წლის სექტემბერი

სარჩევი

აბრევიატურების ჩამონათვალი.....	7
შინაარსის შეჯამება	8
სახელმძღვანელო მითითებები მკითხველისთვის	10
1. შესავალი	11
1.1. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები ევროკავშირში	11
1.2. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები პროგრამის ფარგლებში „ევროკავშირი გარემოსთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემები“	14
2. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ინტეგრირება მდინარეთა სააუზე მართვის გეგმებში	15
2.1. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების განმარტებები და სინონიმები	15
2.2. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების სარგებელი წყლის რესურსების სააუზე ღონეზ მართვისთვის.....	17
2.3. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, ღონისძიებების პროგრამები და მდინარეთა აუზების მართვის გეგმები.....	18
3. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების შერჩევა.....	20
3.1. მეთოდოლოგია	20
3.2. ყველაზე ეფექტური გადაწყვეტილებები.....	21
3.3. დაბინძურების წერტილოვანი წყაროები	23
3.4. დაბინძურების დიფუზიური წყაროები	26
3.5. წყალაღება და წყლის ნაკადის გადამისამართება.....	30
წყარო: [EN] მთის რელიეფის რაიონებში მიწისქვეშა აუზების წყლის რეზერვების აღდგენის თავისებურებები.....	31
3.6. ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები	32
4. 34 ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება.....	36
#1 საძოვრების მდგრადი მართვა	37
#2 კონსერვაციაზე მიმართული სოფლის მეურნეობა.....	38
#3 აგრომეტყვეობა, ბუფერული ზოლები და ცოცხალი დობეები	39
#4 ტრადიციული დატერასება.....	40
#5 დრენაჟის ადაპტირება	41
#6 არსებული საძოვრების, სტეპების და ბუნებრივი სათიბების აღდგენა.....	42
#7 ბუნებრივი მეტყვეობა	43
#8 ადაპტირებული მეტყვეობა ჭალებსა და ნოტიო ტყეებში	44
#9 ტყეებში ტექნიკის კონტროლირებული გადაადგილება	45
#10 გამხმარი მერქნის ნარჩენები მდინარეებსა და ნაკადულებში.....	46
#11 ქალაქების გამწვანება	47
#12 წვიმის ბაღები.....	48
#13 ტყე-პარკები	49
#14 წყალგამტარი ზედაპირები.....	50
#15 წვიმის წყლის მართვის საჯარო ინფრასტრუქტურის მახასიათებლები	51
#16 ტყეების გაშენება	52
#17 მდელოებისა და საძოვრების გარდაქმნა	53
#18 ნიადაგის გამტარიანობის გაუმჯობესება და რენატურაცია (ნიადაგები, ნაგებობები).....	54
#19 არსებული მაღალი ეკოლოგიური ღირებულების მქონე ეკოსისტემების კონსერვაცია.....	55
#20 ბუნებრივი წყალშეკრება/საკვანძო დიზაინი (Keyline).....	56
#21 ნახევრად ხელოვნური ჭაობები და წყლის ობიექტები.....	57
#22 ნატანის შემკრები აუზები და საკონტროლო კაშხლები.....	58
#23 ხელოვნურად გაშენებული ჭაობები ჩამდინარე წყლების გასაწმენდად	59
#24 ჭაობების აღდგენა და მართვა	60

#25 ქალების აღდგენა და მართვა	61
#26 ნაკადულების და მდინარეების აღდგენა	62
#27 ნაკალაპოტარის შედეგად წარმოქმნილი რკალისებური ტბების ხელახალი შეერთება.....	63
#28 განივი ბარიერების მოხსნა	64
#29 ბუნებრივი ნაპირის სტაბილიზაცია	65
#30 განივი ბარიერების მოხსნა	66
#31 ტბების აღდგენა	67
#32 პოლდერის ტერიტორიების აღდგენა	68
#33 ბუფერული ზოლების, სანაპირო ტყეების და ქალის ტყეების აღდგენა	69
#34 წყალშემკრები ჰორიზონტის შევსების მართვა	70
5. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების განხორციელება მდინარეთა აუზების მართვის გეგმების კონტექსტში.....	71
5.1. განხორციელების მეთოდები და სტანდარტები	71
5.2. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მონიტორინგი და შეფასება	74
5.3. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების დაფინანსება	75
5.4. რეკომენდაციები ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების უკეთესი ინტეგრაციისთვის მდინარეთა აუზების მართვის გეგმების დონისძიებათა პროგრამაში.....	78
6. სარეფერენციო წყაროები.....	79
6.1. ტექნიკური და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო დოკუმენტები	79
6.2. პრაქტიკული მაგალითები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და ტექნიკური რეფერენციები	81
7. დანართები.....	109
Annex 1. დანართი 1. ეფექტურობის რანჟირება განმარტება.....	109
დაბინძურების წერტილოვანი წყაროები	109
ურბანული ნარჩენი წყლები	109
სანიაღვრე წყალსატარები	109
სამრეწველო ემისიების შესახებ დირექტივით (IED) გათვალისწინებული დანადგარები/სამრეწველო ობიექტები, და დანადგარები/სამრეწველო ობიექტები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სამრეწველო ემისიების შესახებ დირექტივით (non-IED)	110
სხვა.....	110
დაბინძურების დიფუზიური წყაროები.....	110
ურბანული ჩამდინარე წყლები	110
სოფლის მეურნეობა	110
მეტყევეობა.....	111
სხვა.....	111
წყალალბა და წყლის დინების გადამისამართება.....	112
სოფლის მეურნეობა	112
სხვა.....	112
ჰიდრომორფოლოგია.....	112
არხის/მდინარის კალაპოტის/მდინარის ნაპირის/ზღვის ნაპირის ფიზიკური ცვლილებები.....	112
კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	113
ჰიდროლოგიური ცვლილებები	113
თანასარგებელი.....	113
წყალდიდობების პრევენცია	113
გვალვის პრევენცია.....	114
ბიომრავალფეროვნება	114
ევროკავშირის კანონმდებლობა და სტრატეგიები	114
გვალვის პრევენცია.....	114
ბიომრავალფეროვნება	115

აბრევიატურების ჩამონათვალი

ADA	ავსტრიის განვითარების სააგენტო
EAA	ავსტრიის გარემოს სააგენტო
EC	ევროკომისია
EU	ევროკავშირი
EUWI+	ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლუსი
IED	სამრეწველო ემისიების შესახებ დირექტივა
IOW/OIEau	წყლის საერთაშორისო ოფისი, საფრანგეთი
IWRM	წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა
NBS.....	ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები
NGOs.....	არასამთავრობო ორგანიზაციები
NWRM	წყლის შეკავების ბუნებრივი ზომები
OECD.....	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PoM.....	ლონისძიებების პროგრამა
RBMP	მდინარის აუზის მართვის გეგმა
SFM	ტყის მდგრადი მართვა
ToR.....	ტექნიკური დავალება
UBA.....	Umweltbundesamt GmbH, ავსტრიის გარემოს სააგენტო
UNDP.....	გაეროს განვითარების პროგრამა
UNECE	გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის
UNEP	გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა
UWWT	ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდის დირექტივა
VFTW	ვერტიკალური ნაკადის გამწმენდი ჭაობები
WFD.....	წყლის ჩარჩო დირექტივა
WOCAT	კონსერვაციის მიდგომების მსოფლიო მიმოხილვა
WWTP	ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა

მინაარსის შეჯამება

ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები (NbS) ძალზე ეფექტურია გარემოსდაცვითი საკითხების გადასაჭრელად და მდგრადობის ხელშესაწყობად. NbS წარმოადგენს დღევანდელი სტრატეგიის არსებით კომპონენტს ძირითადი სოციალური საკითხების, მათ შორის, კლიმატის ცვლილებთან დაკავშირებული გამოწვევების გადასაჭრელად. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები გვთავაზობენ ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიან და მდგრად ალტერნატივას ძვირადღირებული გრძელვადიანი ტექნოლოგიური ინვესტიციების ან ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და მოვლის საპირისპიროდ.

ეს გადაწყვეტილებები ეყრდნობიან ბუნების ძალას ბუნებრივი ეკოსისტემების, ბიომრავალფეროვნებისა და ადამიანის კეთილდღეობის ხელშესაწყობად. ისინი მოიცავენ ქმედებების ფართო სპექტრს ლანდშაფტების, ზღვის პეიზაჟების, წყალგამყოფებისა და ურბანული ტერიტორიების დაცვის, აღდგენის ან მდგრადი მართვის მიზნით. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები ეხება ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა სურსათისა და წყლის უსაფრთხოება, კლიმატის ცვლილება, კატასტროფების რისკები და ადამიანის ჯანმრთელობა. მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ წყლის ციკლზე წყლის ნაკადის შენელებით და აუზში მისი ბუნებრივი შეკავების გაზრდით. ამ გადაწყვეტილებების დანერგვა აუზის მასშტაბით მნიშვნელოვან სარგებელს იძლევა წყლის რესურსების მართვისთვის. ეს მოიცავს წყლის ხელმისაწვდომობის გაზრდას, წყლის ხარისხის გაუმჯობესებას და წყალთან დაკავშირებული ისეთი კატასტროფების რისკის შემცირებას, როგორიცაა წყალდიდობა და გვალვა.

ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების რამდენიმე მაგალითი არსებობს სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში. ადგილობრივი თემები ათასწლეულების განმავლობაში იყენებდნენ ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს. მაგალითები მოიცავს სამოვრებისა და სათემო ტყეების მდგრად მართვას მოლდოვას პირველ ეროვნულ პარკში (ორჰეი), ქარსაცავი/აგრომეტეყვეობის სისტემა საქართველოში ქარით გამოწვეული ეროზიის შესამცირებლად, სტეპური ეკოსისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ველური ბუნების აუცილებელი ჰაბიტატების არსებობას უკრაინაში. ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ადამიანზე ორიენტირებული, ხორციელდებოდეს თემების ხელმძღვანელობით და ეფუძნებოდეს ტრადიციულ და ადგილობრივ ცოდნას. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები უნდა იყოს ინკლუზიური, გამჭვირვალე და შემუშავებული მიწათსარგებლობის უფლებებისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეხედულებების გათვალისწინებით, და სარგებელი თანაბრად უნდა იყოს განაწილებული.

ეს გადაწყვეტილებები შეესაბამება პროგრამა „ევროკავშირი გარემოსთვის - წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემების პროგრამის“ უმთავრეს მიზნებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ევროკავშირი გარემოსთვის - წყლის რესურსების და გარემოსდაცვითი მონაცემების პროგრამის კონტექსტში, RBMP-ები (მდინარის სააუზო მართვის გეგმები) განხორციელება მიზნად ისახავს სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში წყლის ობიექტების კარგი ხარისხობრივი და რაოდენობრივი სტატუსის მიღწევას. RBMP მოიცავს რამდენიმე დოკუმენტს, მათ შორის ღონისძიებების პროგრამას, რომელიც განსაზღვრავს აუზში განსახორციელებელ ქმედებებს უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მყოფი წყლის ობიექტების გასაუმჯობესებლად. RBMP-ს ღონისძიებების პროგრამაში შესატან ღონისძიებებს შორის, ბუნებაზე დაფუძნებული

გადაწყვეტილებები განსაკუთრებით აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ისინი ერთდროულად ეხმიანებიან სოციალურ გამოწვევებს და უზრუნველყოფენ ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას.

ადმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში წყლის მართვის ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ეს კატალოგი გთავაზობს სხვადასხვა NbS-ის ყოვლისმომცველ მიმოხილვას, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მდინარის აუზის მასშტაბით ადმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ის გთავაზობთ დოკუმენტირებული ფაქტების ფურცლებს ([34 ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება](#)), მათ შორის პრაქტიკულ მაგალითებს, ბმულებს ტექნიკურ რეფერენციებზე და ხარჯების გაანგარიშებისა და ერთეულის ხარჯების მაგალითებს. ეს კატალოგი განკუთვნილია პრაქტიკოსებისთვის, გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის, მკვლევარებისთვის და სხვა ექსპერტებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავენ წყლის მართვის ყველაზე რელევანტური გადაწყვეტილებების პრიორიტეტიზაციას და შერჩევას.

სახელმძღვანელო მითითებები მკითხველისთვის

წინამდებარე კატალოგის მიზანია ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (NbS) ინტეგრირების ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მდინარეთა აუზების მართვის გეგმებში (RBMPs), საწყისი შერჩევის ეტაპიდან განხორციელების ეტაპის ჩათვლით. ეს კატალოგი განკუთვნილია პროექტის მენეჯერებისთვის, გადაწყვეტილების მიმღებებისთვის, ექსპერტებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც ჩართული არიან NbS-ის შერჩევაში, დიზაინსა და განხორციელებაში მდინარის აუზის მასშტაბით, გეგმებისა და პროგრამების კონტექსტში, რომლებიც ეხება წყალს, წყალდიდობას, ბიომრავალფეროვნებას, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციას, სატყეო მეურნეობას, სოფლის მეურნეობას და ურბანულ განვითარებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

მაგალითად, მოცემული კატალოგი შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- **რანჟირების მეთოდოლოგია** პროგრამაში ჩასართავად ყველაზე შესაფერისი ღონისძიებების შესარჩევად, წყლის ობიექტებზე ზემოქმედების და ღონისძიებების ეფექტურობის დონის გათვალისწინებით (მაღალეფექტური ან ზომიერად ეფექტური) ([ნაწილი 3](#)).
- **34 NbS ფაქტების ფურცლები**, რომლებიც გვთავაზობენ არჩეული ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (NbS) მიმოხილვას და პირდაპირ ბმულებს დამატებით რესურსებზე, მათ შორის, პრაქტიკული მაგალითების მიმოხილვაზე, ხარჯების გაანგარიშების და ერთეულის ხარჯების მაგალითებზე, და ტექნიკურ რეფერენციებზე ([ნაწილი 4](#)). ამ ფაქტების ფურცლებში აღწერილი 34 გადაწყვეტილება შეირჩა, როგორც ყველაზე აქტუალური აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კონტექსტში.
- **რეკომენდაციები სწორი განხორციელების უზრუნველსაყოფად**, რომლებიც დაფუძნებულია: ზემოქმედების მკაფიო იდენტიფიკაციაზე, შესაბამის სივრცულ დაგეგმვაზე (განხორციელების მასშტაბზე), გარემოს მდგრადობის გათვალისწინებაზე (სოციალური თანასწორობა და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა), შემოთავაზებული გადაწყვეტილების სარგებლისა და ზემოქმედების შეჯერებაზე, ადაპტაციური მართვის მიდგომაზე და უკუგების გაზიარებასა და გავრცელებაზე ([ნაწილი 5](#)).
- **რეკომენდაციები NbS-ის დაფინანსების ეფექტური ხელშეწყობისა და გაზრდის მიზნით** ([ნაწილი 5](#)).

ეს კატალოგი შემუშავდა მისი მუდმივი განახლების საჭიროების გათვალისწინებით ახალი გადაწყვეტილებების შემუშავების კვალდაკვალ, რომელთა გაზიარება, განხილვა, ადაპტაცია და ვალიდაცია მოხდება იმ კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც ისინი გამოიყენება.

1. შესავალი

1.1. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები ევროკავშირში

ბოლო წლების განმავლობაში გლობალურ დონეზე ინტერესი ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისადმი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2022 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიკვეთა საკვანძო სამთავრობათაშორისო შეთანხმებებში ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ინტეგრირების თვალსაზრისით.


2022 წლის მარტში გაეროს მეხუთე გარემოსდაცვითმა ასამბლეამ მიიღო 14 რეზოლუცია, რომლებიც მიზნად ისახავენ ბუნების კონსერვაციაზე მიმართული ძალისხმევის გაზრდას მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მასშტაბით მთავრობები ოფიციალურად შეთანხმდნენ ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების განსაზღვრაზე ([UNEP/EA.5/Res.5](#)).

UNFCCC COP27-ის განმავლობაში, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები მიჩნეული იქნა, როგორც პერსპექტიული ინსტრუმენტები კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად, რაც ხაზგასმულია [შარმ ელ-შეიხის განხორციელების გეგმაში](#). COP27-ზე (კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენცია), რომელიც ეგვიპტის პრეზიდენტობით ჩატარდა, გერმანიასთან და IUCN-თან თანამშრომლობით წარდგენილი იქნა [ENACT](#) ინიციატივა ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ხელშეწყობის მიზნით.

ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები საკვანძო როლს თამაშობენ კუნძინ-მონრეალის გლობალური ბიომრავალფეროვნების ჩარჩოში, განსაკუთრებით [მე-8, მე-11 და მე-12 მიზნებში](#), რომლებიც მიღებულ იქნა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მხარეთა მეტხუთმეტე კონფერენციაზე (CBD COP15). ეს ჩარჩო ადგენს ამბიციურ საგზაო რუკას 2050 წლისთვის ბუნებასთან ჰარმონიაში მცხოვრები სამყაროს გლობალური ხედვის მისაღწევად.

გარდა ამისა, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების საკითხი განხილული იყო COP14-ის განმავლობაში, და აისახა ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ რამსარის კონვენციის [XIV.17 რეზოლუციაში](#).

როგორც სამთავრობათაშორისო სამეცნიერო-პოლიტიკის პლატფორმა ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების შესახებ ([IPBES](#)), ასევე კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი ([IPCC](#)) აღიარებს ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობას ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის კრიზისების გადასაჭრელად.



სურათი 1 - ევროპული მწვანე შეთანხმების პოლიტიკის სფეროები

ევროკავშირი ახორციელებს სტრატეგიას, რათა დაიმკვიდროს თავი როგორც გლობალურმა ლიდერმა კვლევებისა და ინოვაციების სფეროში, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების გამოყენებით უფრო მდგრადი და მედეგი საზოგადოებების შესაქმნელად. მიზანს წარმოადგენს 2030 წლისთვის ევროპაში ემისიების 55%-ით შემცირება. მწვანე გარდაქმნა წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას ეკონომიკისთვის, რაც მოითხოვს მიზნობრივი სტრატეგიების განხორციელებას მისი მდგრადობის გასაზრდელად ([EIB საინვესტიციო ანგარიში 2023/2024](#)).

ევროპული მწვანე შეთანხმება. ევროკავშირისა და მისი მოქალაქეებისთვის მიზნად ისახავს ევროკავშირის გარდაქმნას სამართლიან და აყვავებულ საზოგადოებად, თანამედროვე, რესურს-ეფექტური და კონკურენტუნარიანი ეკონომიკით. ეს მიღწეული იქნება 2050 წლისთვის სათბურის გაზების წმინდა ემისიების აღმოფხვრისა და რესურსების გამოყენების გზით ეკონომიკური ზრდის შემცირებით. ევროპული მწვანე შეთანხმება ითვალისწინებს დეტალურ სამოქმედო გეგმას რესურსების ეფექტური გამოყენების გასაუმჯობესებლად, სუფთა, წრიულ ეკონომიკაზე გადასვლისა ხელშეწყობის, ბიომრავალფეროვნების აღდგენის და დაბინძურების შემცირების მიზნით.

ევროკომისიის თანახმად, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები განისაზღვრება, როგორც „გადაწყვეტილებები, რომლებიც შთაგონებულია და მხარდაჭერილია ბუნებით, და რომლებიც ხარჯთეფექტურია, ერთდროულად იძლევიან გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ სარგებელს, და ხელს უწყობენ მდგრადობის გაზრდას. ასეთ გადაწყვეტილებებს უფრო მეტი და მრავალფეროვანი ბუნება და ბუნებრივი მახასიათებლები და პროცესები შემოაქვთ ქალაქებში, ლანდშაფტებსა და ზღვის პეიზაჟებში, ადგილობრივად ადაპტირებული, რესურს-ეფექტური და სისტემური ინტერვენციების მეშვეობით.

მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესაბამისად, ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს შეუძლიათ წვლილის შეტანა მდგრად განვითარებაში, რადგან ისინი ხშირად მიმართულია საზოგადოებრივი ინტერესების მიზნებისა და მდგრადობის განზომილებების განხორციელების ხელშეწყობაზე¹. აქედან გამომდინარე, ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებები ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს მდგრადობასთან დაკავშირებული გამოწვევების ინტეგრირებულად გადასაჭრელად. 2030 წლის დღის წესრიგი და მისი 17 მდგრადი განვითარების მიზანი, მიღებული 2015 წელს გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, წარმოადგენს ყოვლისმომცველ გლობალურ სამოქმედო გეგმას უფრო მდგრადი მომავლისკენ. 2030 წლის დღის წესრიგი შეეხება მდგრადობის სამივე განზომილებას - გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურს, და ხაზს უსვამს ამ განზომილებების ინტეგრირებულად დაძლევის აუცილებლობას.



სურათი 2 - მდგრადი განვითარების მიზნები EU4Environment პროგრამის შესაბამისად

გერსტეტის, ჰერბისა და მატეის (2020) შესაბამისად: „ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია ამ გლობალური ტრანსფორმაციული სამოქმედო გეგმისთვის. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ბუნებაზე დაფუძნებულმა გადაწყვეტილებებმა ასევე შეიძლება პირდაპირი წვლილი შეიტანონ ზოგიერთი მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევაში. ესენია, ევროკავშირის ფარგლებში „ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“ (SDG3), „სუფთა წყალი და სანიტარული პირობები“ (SDG6), „ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება“ (SDG11), „კლიმატის მდგრადობის მიღწევა“ (SDG13), „წყალქვეშა რესურსები“ (SDG14) და „ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება“ (SDG15). აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ ზოგიერთი პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, მაგალითად, ევროკავშირის დონეზე, ასევე რეგულირებას ახდენს მდგრადი განვითარების მიზნებზე ან მდგრად განვითარებაზე ზოგადად, როგორც მათი მიზანშეწონილობის ერთ-ერთი დასაბუთება. ანუ, არგუმენტი იმის შესახებ, თუ როგორ და რამდენად უწყობს ხელს SDG-ები ამ მიდგომების უფრო ფართო დანერგვას“. (ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მეინსტრიმინგი: მდგრადი განვითარების მიზნები, NATURVATION გზამკვლევი, გვერდი 8-9).

¹ Gerstetter, C., Herb, I., Matei, A. (2020) Mainstreaming Nature-Based Solutions: Sustainable Development Goals, NATURVATION Guide

1.2. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები პროგრამის ფარგლებში „ევროკავშირი გარემოსთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემები“

ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები (NbS) სულ უფრო ფართოდ ინერგება სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში. ეს გადაწყვეტილებები ძალზე ეფექტურია გარემოსდაცვითი გამოწვევების გადასაჭრელად და მდგრადობის ხელშესაწყობად. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები შეესაბამება „ევროკავშირი გარემოსთვის - წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემების“ პროგრამის საერთო მიზნებს, ასევე განმახორციელებელი პარტნიორების სხვადასხვა მანდატსა და გამოცდილებას. ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს პოტენციურად დადებითი გავლენა აქვს წყლის ხარისხსა და რაოდენობაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. მათ შეუძლიათ შეანელონ ჩამონადენი და გაზარდონ ინფილტრაცია, ხელი შეუწყონ წყლის დონის ბუნებრივ შენარჩუნებას და გაწმენდას, და შექმნან ან გააუმჯობესონ ჰაბიტატები, რითაც ხელს უწყობენ ბიომრავალფეროვნებას.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში „ევროკავშირი გარემოსთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემების“ პროგრამის კონტექსტში, მდინარეთა სააუზე მართვის გეგმების (RBMP) განხორციელება მიზნად ისახავს სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში წყლის ობიექტების კარგი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობის მიღწევას. RBMP მოიცავს მთელ რიგ დოკუმენტს, მათ შორის ღონისძიებების პროგრამას, რომელიც განსაზღვრავს აუზში განსახორციელებელ ქმედებებს დეგრადირებული წყლის ობიექტების აღდგენის მიზნით. RBMP-ის ღონისძიებების პროგრამაში შესატან ღონისძიებებს შორის აქტუალურია ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები (NbS), რადგან ისინი ერთდროულად მიმართულია სოციალური გამოწვევების გადაჭრაზე და ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაზე. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მრავალფეროვნება, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მდინარეთა აუზებში, ნაჩვენებია მე-4 ნახაზში. ასეთი ქმედებები მოიცავს სტრუქტურულ ღონისძიებებს, როგორიცაა ტყეების მიზნობრივი გაშენება და მართვის ღონისძიებები, როგორიცაა არსებული ცოცხალი ნარგავების (ღობეების) შენარჩუნება.

მოცემული NbS კატალოგი მიზნად ისახავს სხვადასხვა ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ყოვლისმომცველ მიმოხილვას, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მდინარეთა აუზების მასშტაბით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ის სთავაზობს ღირებულ მიგნებებს პრაქტიკოსებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, მკვლევარებს და სხვა ექსპერტებს, რომლებიც ცდილობენ RBMP-ებში ასახავენ ყველაზე რელევანტური ღონისძიებების პრიორიტეტიზაციას და არჩევას.

2. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ინტეგრირება მდინარეთა სააუზე მართვის გეგმებში

2.1. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების განმარტებები და სინონიმები

ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები ეყრდნობიან ბუნებრივ რესურსებს სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების ერთდროულად გადასაჭრელად. თუმცა, არ არსებობს NbS-ის ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განმარტება (იხ. ჩარჩო 1). გარდა ამისა, სხვადასხვა ტერმინები გამოიყენება დაინტერესებული მხარეების და კონტექსტის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ იგულისხმება მსგავს მიდგომებზე დაფუძნებული ქმედებები. მათ შორისაა ეკოსისტემაზე დაფუძნებული ადაპტაცია, ეკოსისტემაზე დაფუძნებული კატასტროფების რისკის შემცირება, ეკოლოგიური ინჟინერია, წყლის შეკავების ბუნებრივი ღონისძიებები, მწვანე ინფრასტრუქტურა, მდგრადი სადრენაჟო სისტემები და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის სინონიმები, ეს მიდგომები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.



სურათი 3 - ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების სქემატური წარმოდგენა (© IUCN)

ჩანართი 1. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების განმარტებები

არ არსებობს ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (NbS) ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განმარტება. აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი განმარტებები იქნა შემუშავებული სხვადასხვა ორგანიზაციებისა და მკვლევარების მიერ. 2000-იანი წლების დასაწყისში ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა (IUCN) შეიმუშავა განმარტება, რომელიც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა ბუნების დაცვისა და აღდგენის მნიშვნელობაზე. ევროკომისიამ ასევე შეიმუშავა განმარტება, რომელიც უფრო ფართოა, და აქცენტს აკეთებს ზოგადად მდგრადობაზე. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) ახლახან შემოგვთავაზა ამ ორი განმარტების კომბინაცია. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების შემდეგი დეფინიციები შეიძლება დაეხმაროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს იმის გაგებაში, თუ როგორ შეუძლია NbS-ს მათთვის სარგებლის მოტანა:

- **გაეროს გარემოსდაცვითი ასამბლეა:** ქმედებები ბუნებრივი ან მოდიფიცირებული ხმელეთის, მტკნარი წყლის, სანაპირო და საზღვაო ეკოსისტემების დაცვის, შენარჩუნების, აღდგენის, მდგრადი გამოყენებისა და მართვის მიზნით, რომლებიც ეფექტურად და ადაპტაციურად აგვარებენ სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოს გამოწვევებს, და იმავდროულად უზრუნველყოფენ ადამიანის კეთილდღეობას, ეკოსისტემურ სერვისებს, მედეგობას და ბიომრავალფეროვნების სარგებელს².
- **ევროკომისია:** ქმედებები შთაგონებული, მხარდაჭერილი ან კოპირებული ბუნებიდან, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადოებებისთვის დახმარების გაწევას სხვადასხვა გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრაში მდგრადი გზებით³.
- **IUCN:** ქმედებები მიმართული ბუნებრივი ან მოდიფიცირებული ეკოსისტემების დაცვაზე, მდგრად მართვასა და აღდგენაზე, რომლებიც ეფექტურად და ადაპტაციურად აგვარებენ სოციალურ გამოწვევებს, რაც ერთდროულად უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობასა და ბიომრავალფეროვნების სარგებელს⁴.
- **OECD:** ზომები, რომლებიც იცავენ, მდგრადად მართავენ ან აღადგენენ ბუნებას, ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნების ან გაძლიერების მიზნით, სხვადასხვა სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური გამოწვევების გადასაჭრელად⁵.

² [UN Environment Assembly 5 \(UNEA 5.2\) Resolutions](#), UNEP, 2022

³ [Nature-based solutions](#), ევროკომისია

⁴ [Nature-based Solutions](#), IUCN


⁵ [Nature-based solutions for adapting to water-related climate risks](#), OECD, 2020

2.2. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების სარგებელი წყლის რესურსების სააუზო დონეზე მართვისთვის

ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს აქვთ პოტენციალი მნიშვნელოვნად იმოქმედონ წყლის ციკლზე, შეანელონ წყლის ნაკადი და გაზარდონ მისი ბუნებრივი შეკავება აუზის შიგნით. აუზის მასშტაბით ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების განხორციელება მნიშვნელოვან სარგებელს იძლევა წყლის რესურსების მართვისთვის. ეს მოიცავს წყლის ხელმისაწვდომობის გაზრდას, წყლის ხარისხის გაუმჯობესებას და წყალთან დაკავშირებული კატასტროფების რისკის შემცირებას, როგორცაა წყალდიდობა და გვალვა.

ეს გადაწყვეტილებები ასევე დადებით გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე, ეკონომიკასა და გარემოზე. ისინი მხარს უჭერენ სასურსათო უსაფრთხოებას, უზრუნველყოფენ ნედლეულს, ზრდიან ნახშირბადის შენახვის შესაძლებლობებს, მხარს უჭერენ ბიომრავალფეროვნებას და სთავაზობენ რეკრეაციულ ზონებს სხვა სარგებელთან ერთად. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები ბევრ სარგებელს გვთავაზობენ, რაც მათ ეფექტურ ზომად აქცევს ნებისმიერი ბიზნესისთვის, მათი სწორად განხორციელების შემთხვევაში.

ამ მიზეზით, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების დანერგვას ასევე წვლილი შეაქვს რამდენიმე ევროპული ჩარჩო დირექტივის, მათ შორის წყალდიდობის დირექტივის, ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივის, ნიტრატების დირექტივის და ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდის დირექტივის განხორციელებაში. ისინი ასევე შეესაბამება რამდენიმე ევროპულ სტრატეგიას, მათ შორის ბიომრავალფეროვნების სტრატეგიას, სატყეო სტრატეგიას და ნიადაგის სტრატეგიას 2030 წლისთვის.



სურათი 4 - წყალშემკრების მასშტაბით განხორციელებული ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მაგალითები (© OiEau)

ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების გამოყენება მდინარეთა აუზებში შესაძლებელია რამდენიმე გზით (სურათი 4). ეს შეიძლება განხორციელდეს სტრუქტურული ქმედებების სახით, როგორიცაა ტყეების მიზნობრივი გაშენება, ან მართვის ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა არსებული ცოცხალი ნარგავების შენარჩუნება.

წყლის რესურსების მართვის გადაწყვეტილებები შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს, როგორიცაა:

- საფერმერო მეურნეობის პრაქტიკა, როგორიცაა ორი ან მეტი კულტურის ერთმანეთის სიახლოვეს დათესვა (intercropping)
- სატყეო პრაქტიკა, როგორიცაა დაბერებული კორომების კონსერვაცია
- წვიმის წყლის მართვის მახასიათებლები ქალაქებში, როგორიცაა ქალაქების გამწვანება
- მიწათსარგებლობის ფორმის შეცვლა, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე სათიბების აღდგენა
- წყლის ეკოსისტემის აღდგენა, როგორიცაა ჭაობის ან ნაკადულის აღდგენა
- მიწისქვეშა წყლების შევსება, როგორიცაა წყალშემცველი ჰორიზონტის შევსება ინფილტრაციული აუზებით.

2.3. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, ღონისძიებების პროგრამები და მდინარეთა აუზების მართვის გეგმები

ევროკავშირის წევრი ქვეყნები ახორციელებენ წყლის ჩარჩო დირექტივას (WFD) მდინარეთა აუზების მართვის გეგმების (RBMPs) მეშვეობით, რომელთა განახლება ხდება ექვსწლიანი ციკლიურობის საფუძველზე. . მდინარის აუზის მართვის გეგმის მომზადება WFD-ის შესაბამისად ითვალისწინებს ფორმალურ პროცესს, რომელიც სხვადასხვა ეტაპისგან შედგება შეფასების, დაგეგმვის, განხორციელებისა და რეგულარული განხილვის კონტექსტში. სხვადასხვა ზემოქმედების ანალიზი ხელს უწყობს წყლის ობიექტების მომავალი მდგომარეობის შეფასებას. თუ ზემოქმედება მნიშვნელოვანია, შესაბამისი ზომები უნდა იყოს შემოთავაზებული ღონისძიებების პროგრამაში, რომელიც წარმოადგენს RBMP-ის მნიშვნელოვან თავს. როგორც განსაზღვრულია WFD-ს სახელმძღვანელო დოკუმენტებში, თითოეული ზემოქმედებისთვის შეიძლება განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებები. ზემოქმედების და ზეწოლის შეფასების პროცესი დეტალურად არის აღწერილი [წყლის ჩარჩო დირექტივის \(2000/60/EC\) განხორციელების საერთო სტრატეგიის სახელმძღვანელო დოკუმენტში n°3](#).

აუცილებელია გავიგოთ ზემოქმედების ბუნება, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ზეწოლას, და შესაბამისი მეთოდების იდენტიფიცირება ზემოქმედებასა და ზეწოლას შორის ურთიერთობის მონიტორინგისთვის, ან შესაფასებლად. ზეწოლის ინვენტარიზაცია შეიძლება შემდეგი ტიპის ზეწოლებს შეიცავდეს:

- დაბინძურების ზეწოლა დიფუზური და წერტილოვანი წყაროებიდან
- რაოდენობრივი ზეწოლა რესურსებზე
- ჰიდრომორფოლოგიური ზეწოლა
- ბიოლოგიური ზეწოლა

ზეწოლისა და ზემოქმედების წარმატებული შესწავლა მოითხოვს მიზნების მკაფიო გაგებას, წყლის ობიექტის და მისი წყალშემკრების არეალის ამომწურავ აღწერას (მონიტორინგის მონაცემების ჩათვლით) და წყალშემკრების სისტემის ფუნქციონირების დეტალურ ცოდნას.

აუცილებელია წყლის ობიექტზე ზეწოლის მნიშვნელობის შეფასება წყალშემკრები აუზის არეალზე ზეწოლის გათვალისწინებით და წყალშემკრები სისტემის ფუნქციონირების გაგებით. ამ ცოდნისა და ყველა ზეწოლის ჩამონათვალის და წყალშემკრები აუზის სპეციფიკურ მახასიათებლების კომბინირებით, შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზეწოლის იდენტიფიცირება. ერთ-ერთი მიდგომა არის ზეწოლის მასშტაბის შედარება კრიტერიუმთან ან ზღვართან, რომელიც შეესაბამება წყლის ობიექტის ტიპს. ამ მიდგომაში ეფექტურადაა კომბინირებული ზეწოლის იდენტიფიცირება ზემოქმედების ანალიზთან, რადგან ზღვარის ნებისმიერ გადაჭარბების შემთხვევაში, წყლის ობიექტი შეფასდება როგორც ობიექტი, რომელიც ვერ პასუხობს მიზნებს.



სურათი 5 - წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ციკლი (© EUWI + East პროექტი)

RBMP-ების მომზადების დროს ექსპერტები, დაინტერესებული მხარეები და გადაწყვეტილების მიმღებები განიხილავენ ღონისძიებების შესაბამისობას, რათა შეფასდეს მათი ეფექტურობა და მიზანშეწონილობა. ღონისძიებათა პროგრამა მოიცავს პოტენციური ღონისძიებების ფართო სპექტრს, მათ შორის რამდენიმე ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეიძლება რელევანტური იყოს წყლის ობიექტებზე ერთი ან მეტი ზეწოლის გადასაჭრელად.

3. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების შერჩევა

3.1. მეთოდოლოგია

ეს ნაწილი იძლევა ღირებულ ინფორმაციას RBMP-ებში პრიორიტეტების განსაზღვრისა და ყველაზე რელევანტური ღონისძიებების იდენტიფიცირებისა და შერჩევის პროცესის შესახებ. ღონისძიებების პროგრამაში ჩასართავად ყველაზე შესაფერისი ღონისძიებების შესარჩევად, შეიძლება გამოყენებული იქნას ორი ტიპის ცხრილი:

- ნაწილი 3.2 წარმოგიდგენთ ბუნებაზე დაფუძნებულ ყველაზე ეფექტურ გადაწყვეტილებების ცხრილს იმ ზეწოლის აღმოსაფხვრელად, რომლის ზემოქმედების ქვეშაა წყლის ობიექტი. ის აკავშირებს ამ გადაწყვეტილებებს ინფრასტრუქტურასთან და ტექნოლოგიებთან, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება შესაბამისი ზეწოლის აღმოსაფხვრელად.
- 3.3-დან 3.6-მდე ნაწილები მოიცავს ოთხ ცხრილს, რომლებიც ასახავს შესაბამის გადაწყვეტილებებს მათი ეფექტურობის დონის მიხედვით (მაღალეფექტური ან ზომიერად ეფექტური), რაც მიუთითებს მათ ძირითად ერთობლივ სარგებელზე და სექტორთაშორის ინტერესებზე ევროკავშირის სხვა პოლიტიკისთვის. გარდა ამისა, მოცემულია ბმული თითოეული გადაწყვეტილების დეტალურ ტექნიკურ ფურცელზე ([ნაწილი 4](#)).

ჩანართი 2. ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები არის მრავალფუნქციური გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვთ მრავალი სარგებლის უზრუნველყოფის პოტენციალი. ამ გადაწყვეტილებების რეალური ეფექტურობა კონკრეტული ზეწოლის მოსაგვარებლად შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტული უბნის მახასიათებლებიდან გამომდინარე, რაც დამოკიდებულია კონტექსტზე და გადაწყვეტილების განხორციელებაზე. ამის მისაღწევად აუცილებელია შესაბამისი დიზაინისა და ზომის განსაზღვრის მიდგომის შერჩევა, კონკრეტული კონტექსტის, მიზნებისა და ჩართული ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების გათვალისწინებით (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ განხორციელებასთან დაკავშირებული მოსაზრებები [მე-5 ნაწილში](#)).

სარგებლის არსებული ცხრილები გვაწვდიან ინფორმაციას ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ეფექტურობის შესახებ მრავალი მიზნის მისაღწევად (მათ შორის: [NWRM სარგებლის ცხრილები](#), [NbS მტკიცებულებების პლატფორმა](#) და ა.შ.). წინამდებარე კატალოგში არჩევანი გაკეთდა ზეწოლისთვის ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების პოტენციური ეფექტურობის რანჟირებაზე, რომელიც იდენტიფიცირებულია [WFD-ის ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებებში 2022](#), ექსპერტების შეფასების საფუძველზე. რანჟირება შემდეგნაირად გამოიყურება:

H – მაღალეფექტური

გადაწყვეტილებას გააჩნია არსებული ზეწოლის მნიშვნელოვნად შემცირების პოტენციალი:

მაგალითი: კონსერვაციაზე მიმართულ სოფლის მეურნეობას აქვს პოტენციალი შეამციროს ნატანის ნაკადები მინდვრებიდან და მკვეთრად შეამციროს საკვები ნივთიერებებისა და პესტიციდების გაჟონვა, და შესაბამისად, შეიძლება ძალიან ეფექტური იყოს სოფლის მეურნეობაში არსებული დიფუზური დაბინძურების წყაროების აღმოსაფხვრელად.

M – ზომიერად ეფექტური

გადაწყვეტილებას გააჩნია არსებული ზეწოლის მნიშვნელოვნად შემცირების პოტენციალი, მაგრამ იგი არ გამოიყენება დამოუკიდებლად.

მაგალითი: კონსერვაციაზე მიმართულ სოფლის მეურნეობას აქვს პოტენციალი შეამციროს კულტურების ირიგაციის საჭიროებები და სენსიტიურობა გვალვის მიმართ, თუმცა მას არ შეუძლია დამოუკიდებლად შეამციროს ირიგაციის საჭიროებები. როგორც ასეთი, იგი შეიძლება ზომიერად ეფექტური იყოს სოფლის მეურნეობის საჭიროებებისთვის წყალაღების პრობლემის გადასაჭრელად.

სხვა მაგალითები

ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ განიხილება, როგორც მაღალეფექტური ან ზომიერად ეფექტური კონკრეტული ზეწოლისთვის, სავარაუდოდ არ ექნება ინდიკატორი ეფექტი ამ ზეწოლაზე, ან იგი არ არის შესაბამისი.

მაგალითი: კონსერვაციაზე მიმართული სოფლის მეურნეობა ვერ იმოქმედებს ურბანული ჩამდინარე წყლების წერტილოვანი წყაროებით გამოწვეულ დაბინძურებაზე.

ზეწოლის ტიპების, თანა-სარგებლის და ევროპული პოლიტიკის სინერგიების რანჟირების დეტალები მოცემულია 1-ელ დანართში. გაითვალისწინეთ, რომ ეს რანჟირება ინდიკატორია და შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივი ვითარებიდან გამომდინარე.

3.2. ყველაზე ეფექტური გადაწყვეტილებები

ცხრილი 1 - ყველაზე ეფექტური NbS-ები წყლის ობიექტებზე ზეწოლის ტიპის მიხედვით (© OiEau) -ელ ცხრილში მოცემულია ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა, რომლებიც იდენტიფიცირებულია, როგორც ყველაზე ეფექტური წყლის ობიექტებზე არსებული გამოწვევების გადასაჭრელად. იგი მიმოიხილავს, თუ როგორ შეიძლება მდინარეთა აუზებში ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების განხორციელება, არსებული ზეწოლების შესამცირებლად.

გაითვალისწინეთ, რომ ქვემოთ მოცემულია მხოლოდ ყველაზე ეფექტური გადაწყვეტილებები. ბუნებაზე დაფუძნებული სხვა შესაბამისი გადაწყვეტილებები შეგიძლიათ იხილოთ ცხრილებში [3.3-დან 3.6-მდე](#). მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნაკლებად

ეფექტურია, ეს გადაწყვეტილებები მაინც უნდა იყოს გათვალისწინებული მათი თანასარგებლისა და მდინარეთა აუზებზე პოტენციური კუმულაციური ზემოქმედების გამო.

ცხრილი 1 - ყველაზე ეფექტური NbS-ები წყლის ობიექტებზე ზეწოლის ტიპის მიხედვით (© OiEau)

წყლის ობიექტებზე ზეწოლის ტიპი		ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების ტიპი	განხორციელების მასშტაბი	ტიპიური ნაცრისფერი ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგია
1. დაბინძურების წერტილოვანი წყაროები	აგლომერაცია და მრეწველობა	წვიმის წყლის მართვის საჯარო ინფრასტრუქტურის მახასიათებლები	ქალაქები, დასახლებები, სამრეწველო ქარხნები	სანიაღვრე ინფრასტრუქტურა
		ჭაობების გაშენება ჩამდინარე წყლების გასაწმენდად		ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები
2. დაბინძურების დიფუზიური წყაროები	სოფლის მეურნეობა	კულტივირების პრაქტიკის გაუმჯობესება	სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი	თანამედროვე ფერმერული ტექნიკა
		დაბალი ზემოქმედების მიწათსარგებლობაზე გადასვლა	წყლის ობიექტი	არ არსებობს
		დრენაჟის ადაპტირება	სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი	
		მდელოების და საძოვრების აღდგენა	წყლის ობიექტი	
	ურბანული ჩამონადენი წყლები	წვიმის წყლის მართვის საჯარო ინფრასტრუქტურის მახასიათებლები	ქალაქები, დასახლებები, სამრეწველო ქარხნები	სანიაღვრე ინფრასტრუქტურა
	მეტყვეობა	ბუნებრივი მეტყვეობა	წყლის ობიექტი და მისი წყალშემკრები	არ არსებობს
		ნატანის შემკრები აუზები და გამშვები კაშხლები	წყლის ობიექტის მონაკვეთი	არ არსებობს
	სხვა	წვიმის წყლის მართვის საჯარო ინფრასტრუქტურის მახასიათებლები	წყლის ობიექტი	სანიაღვრე ინფრასტრუქტურა
3. წყალაღება ან ნაკადის გადამისამართება	სოფლის მეურნეობა	კულტივირების პრაქტიკის გაუმჯობესება	ფერმა	თანამედროვე ფერმერული ტექნიკა
	სხვა	წყალშემცველი ჰორიზონტის შევსების მართვა	წყლის ობიექტიდან აუზამდე	კაშხლები და მიწისქვეშა ტუმბოები
4. ჰიდრო-მორფოლოგია	ფიზიკური ცვლილებები	ადაპტირებული სატყეო მეურნეობა ჭალებსა და ნოტიო ტყეებში	წყლის ობიექტის მონაკვეთი	არ არსებობს
		წყლის ეკოსისტემების აღდგენა	წყლის ობიექტის მონაკვეთი	არ არსებობს
	კაშხლები და ბარიერები	ბარიერების მოხსნა	აუზის მასშტაბით	არ არსებობს
		წყლის ეკოსისტემების აღდგენა	წყლის ობიექტის მონაკვეთი	
	ჰიდროლოგიური ცვლილება	დრენაჟის ადაპტირება	წყლის ობიექტი	რეზერვუარები
		კულტივირების პრაქტიკის გაუმჯობესება	წყლის ობიექტი	არ არსებობს
		წყალშემცველი ჰორიზონტის შევსების მართვა	წყლის ობიექტიდან აუზამდე	რეზერვუარები

ჩანართი 3. EU-ის დამატებული ღირებულება და ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების პოლიტიკური რელევანტურობა

- IUCN-ის გლობალური სტანდარტი

2019 წელს დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების პროექტების ზემოქმედების ანალიზი. ამის შედეგად შემუშავებულ ანგარიშში მიმოხილული იყო ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების პროექტების შედეგები, და ის, თუ როგორ უჭერენ ისინი მხარს წყლის ობიექტების ხარისხის და წყლის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიმართული პოლიტიკის განხორციელებას.

[ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, წყლის ხარისხის და წყლის მდგომარეობის გაუმჯობესება. 2021. გვ. 68.](#)

3.3. დაბინძურების წერტილოვანი წყაროები

ჭაობების გაშენება ერთადერთი გამოსავალია, რომელიც ეფექტურია ურბანული ჩამდინარე წყლების ზეწოლის შესამცირებლად ეფექტურობის მაღალი დონით.

წვიმის წყლის მართვის საჯარო ინფრასტრუქტურა (იხ. #15) წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ გადაწყვეტილებას **სანიაღვრეებით** გამოწვეული წერტილოვანი დაბინძურების პრობლემის გადასაჭრელად. სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს უწყობენ წვიმის წყლით გამოწვეული ნიაღვრების შემცირებას, შეიძლება ზომიერად ეფექტური იყოს.

რაც შეეხება სამრეწველო ემისიების შესახებ დირექტივით (IED) მოცულ სამრეწველო დანადგარებს და სხვა დანადგარებს, რომლებიც არ არის მოცული ამ დირექტივით (**non-IED**), ხელოვნური ჭაობების გაშენება და სანიაღვრეების მართვა შეიძლება უაღრესად ეფექტური იყოს გარკვეულ შემთხვევებში. ქარხნების ტერიტორიაზე წვიმის წყლის შემცირების სხვა გადაწყვეტილებები შეიძლება ზომიერად ეფექტური იყოს

ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები არ არის შესაბამისი დაბინძურების სხვა წერტილოვანი წყაროების ზეწოლის შესამცირებლად.

H: მაღალეფექტური; M: ზომიერად ეფექტური.

ტექნიკური ფურცელი	ეფექტიანობა	შესაბამისი ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები	თანასარგებელი			ევროკავშირის პოლიტიკის სინერგია
			წყალდიდობა	გვალვა	ბიომრავალფეროვნება	
1.1 ურბანული ჩამდინარე წყლები შეიძლება იყოს ან არ იყოს შეტანილი UWWT დირექტივაში. მოიცავს ჩამდინარე წყლებს არასამრეწველო კომერციული უბნებიდან, რომლებიც შეიძლება დიდწილად ასიმილირებული იყოს ურბანულ ჩამდინარე წყლებთან. მოიცავს დაუმუშავებელი ან ნაწილობრივ დამუშავებული ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვებას, რომლებიც იდენტიფიცირებულია, როგორც დაბინძურების წერტილოვანი წყაროები.						
23	H	გაშენებული ჭაობები ჩამდინარე წყლების გასაწმენდად			M	M
1.2 სანიაღვრე წყალსატარები სანიაღვრე წყალსატარების გადავსება ცალკე ან კომბინირებული წყალარინების სისტემებისგან, რომლებიც იდენტიფიცირებულია როგორც წერტილოვანი წყაროები (დაბინძურების დიფუზური წყაროებისთვის იხილეთ ქვემოთ „დიფუზური ურბანული ჩამონადენი“).						
15	H	წვიმის წყლის მართვის საჯარო ინფრასტრუქტურის მახასიათებლები	H	M	M	M
11	M	ქალაქების გამწვანება (მწვანე სახურავები, ქალაქის ბაღები და ა.შ.)	M		H	M
12	M	ნიაღვრული ჩამონადენის შემცირებელი ბაღები	M	M		M
13	M	ტყე-პარკები	M	M	H	M
14	M	წყალგამტარი ზედაპირები	M	M		M
18	M	გრუნტის გაშიშვლება (შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად)	M	M	M	M
1.3 IED დანადგარები 1.4 არა-IED დანადგარები დაბინძურების სამრეწველო წერტილოვანი წყაროები ქარხნებიდან დამოუკიდებლად იმისა, ისინი შედის თუ არა დამაბინძურებლების გაფრქვევის ევროპულ რეესტრში (E-PRTR).						
15	H	წვიმის წყლის მართვის საჯარო ინფრასტრუქტურის მახასიათებლები	H	M	M	M
23	H	გაშენებული ჭაობები ჩამდინარე წყლების გასაწმენდად			M	M
11	M	ქალაქების გამწვანება (მწვანე სახურავები, ქალაქის ბაღები და ა.შ.)	M		H	M
12	M	ნიაღვრული ჩამონადენის შემცირებელი ბაღები	M	M		M
13	M	ტყე-პარკები	M	M	H	M
14	M	წყალგამტარი ზედაპირები	M	M		M
18	M	გრუნტის გაშიშვლება (შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად)	M	M	M	M
1.5-დან 1.9-ის ჩათვლით: სხვა დაბინძურების წერტილოვანი წყაროები, როგორიცაა დაბინძურებული უბნები ან მიტოვებული სამრეწველო ობიექტები, წყლის ჩაშვების ადგილები, მალაროს წყლები, აკვაკულტურა ან სხვა ტიპის წერტილოვანი წყაროები.						
		ზომა არ არის იდენტიფიცირებული				

ჩანართი 4. პრაქტიკული მაგალითი 1: ორჰეიში გაშენდა ჭაობი ჩამდინარე წყლების ხარჯთეფექტური გაწმენდისთვის, მოლდოვა (2021)

იხილეთ NbS [#23](#) კატალოგში

ფრანგული ვერტიკალური ნაკადის გამწმენდი ჭარბტენიანი ტერიტორია (VFTW) გაშენდა კომუნალური წყალმომარაგების კომპანიის (Apa Canal) თანხმობით, ქალაქ ორჰეიში საოპერაციო ხარჯების შესამცირებლად. გაშენებული ჭარბტენიანი ტერიტორია ორჰეის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ემსახურება, რომელიც 33,300 ადამიანს შეადგენს, და ასევე რამდენიმე მცირე სამრეწველო ობიექტს. მანამდე არსებული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ოპერირება ძვირი ჯდებოდა და მას აღარ შეეძლო მთელი ქალაქის ჩამდინარე წყლების სათანადოდ გადამუშავება.

ფრანგული VFTW არის სპეციფიკური კონფიგურაციის მქონე გაშენებული ჭარბტენიანი ტერიტორია, რომელიც გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების გადამუშავების საშუალებას იძლევა მარტივი სკრინინგის პროცესის შემდეგ. შლამი და მინერალიზაცია გროვდება ზედაპირზე, ხოლო ვერტიკალური ნაკადი ნარჩენი წყლების ეფექტური გადამუშავების და ნიტრიფიკაციის დასრულების საშუალებას იძლევა.

ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები წარმოადგენენ დაბინძურების პოტენციურ წერტილოვან წყაროს, რადგან დამუშავებული ჩამდინარე წყლები ჩაედინება პირდაპირ ნაკადულებში ან მდინარეებში. ჩამდინარე წყლების არასათანადო დამუშავებამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები ადამიანის ჯანმრთელობის და გარემოს დაბინძურების კონტექსტში. გაშენებულ ჭაობებს ხელშესახები დადებითი გავლენა აქვთ წყლის დაბინძურების რეგულირებაზე, რადგან ისინი უზრუნველყოფენ ხარჯების ოპტიმიზაციას და ეფექტურობის მაღალ დონეს.



სურათი 6 - ორჰეიში გაშენებული ფრანგული VFTW WWTP სივრცითი გამოსახულება (2021)

© წყლის გადამუშავების ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები

შეძენილი გამოცდილება:

- ჩამდინარე წყლების გაწმენდის ბუნებრივი ტექნოლოგიების გამოყენებამ გამოიწვია საოპერაციო და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება.

- კარგად შემუშავებულმა, დეცენტრალიზებულმა სტრატეგიამ შეიძლება ხელი შეუწყოს NbS-ის დანერგვას დიდ ქალაქებში, შეამციროს ისეთი ნაცრისფერი ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან, მოვლა-პატრონობასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა საკანალიზაციო სისტემები. გარდა ამისა, სტრატეგია ხელს უწყობს ქალაქებში ფუნქციური მწვანე სივრცეების შექმნას.
- ორპეის წყლის გადამამუშავებელმა ჭაობებმა აჩვენა, რომ ფრანგულ VFTW-ებს შეუძლიათ ეფექტურად იმუშაონ ცივ კლიმატში.

წყარო: [EN] [ორპეის ფრანგული VFTW](#)

3.4. დაბინძურების დიფუზიური წყაროები

წვიმის წყლის მართვის საჯარო ინფრასტრუქტურა (იხ. NbS [#15](#)) წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ გადაწყვეტას სანიაღვრეების გადავსებით გამოწვეული დაბინძურების დიფუზიური წყაროს პრობლემის მოსაგვარებლად. სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს უწყობენ წვიმის წყლით დატბორვის შემცირებას, შეიძლება ზომიერად ეფექტური იყონ.

სოფლის მეურნეობის დიფუზიური დაბინძურების წყაროების პრობლემის დასაძლევად ყველაზე ეფექტური გადაწყვეტილებებია ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ამცირებენ საკვები ნივთიერებების და პესტიციდების გამოყენებას. ეს შეიძლება მიღწეული იყოს კულტივირების პრაქტიკით, რომელიც ამცირებს ასეთი პროდუქტების გამოყენების საჭიროებას, ისევე როგორც სხვა მიწათსარგებლობის სხვა ფორმებზე გადასვლით, რომლებიც არ საჭიროებენ პესტიციდების გამოყენებას. დრენაჟის ადაპტირება ასევე შეიძლება ძალიან ეფექტური იყოს, რადგან სადრენაჟო ქსელი შეიძლება იყოს საკვები ნივთიერებებისა და პესტიციდების წყლის ობიექტებში შეღწევის მთავარი გზა. გარდა ამისა, ყველა გადაწყვეტილებას, რომელიც ხელს უწყობს წყლის ობიექტებში დამაბინძურებლების გზების შემცირებას, აქვს ზომიერი ეფექტურობა ამ ზეწოლის მიმართ. მათ შორისაა სტრუქტურული გადაწყვეტილებები, რომლებიც აძლიერებენ ნიადაგის ინფილტრაციის შესაძლებლობებს და ხელს უწყობენ ჩამონადენის შეკავებას.

სატყეო მეურნეობის დაბინძურების დიფუზიური წყაროების თვალსაზრისით, ყველაზე ეფექტური გადაწყვეტილებებია დრენაჟის ადაპტირება, სატყეო მეურნეობაში ბუნებრივთან მიახლოებული მეთოდების გამოყენება და ნალექის დამჭერი წყალსატევების მოწყობა. სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც ზომიერად ეფექტურია, მოიცავს დაბინძურების ისეთი გზების შემცირებას, როგორიცაა ტყეებში გზების და ბილიკების მშენებლობა და ტყეების გარდაქმნა ეკოსისტემებად, როგორიცაა ბუნებრივი მდელოები, რომლებსაც არ შეაქვთ წვლილი დაბინძურებაში.

სხვა დიფუზიური წყაროების შემთხვევაში, წვიმის წყლის მართვის ინფრასტრუქტურა უაღრესად ეფექტურია დაბინძურების სხვა არაწერტილოვანი წყაროების (NPS) ზომებთან შედარებით, რომლებიც დაბინძურების დიფუზიური წყაროების მიმართ გამოიყენება. გადაწყვეტილებები, რომლებიც ზრდიან ნიადაგების შეღწევადობის შესაძლებლობას წყლის ობიექტში, ზომიერად ეფექტურია. გარდა ამისა, წყლის ეკოსისტემებისა და ჭაობების აღდგენა ასევე ზომიერად ეფექტური ღონისძიებებია, რადგან ისინი ზრდიან ეკოსისტემების თვითგაწმენდის შესაძლებლობებს.

H: მაღალეფექტური; M: ზომიერად ეფექტური.

ტექნიკური ფურცელი	ეფექტიანობა	შესაბამისი ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები	თანასარგებელი			ევროკავშირის პოლიტიკის სინერგია
			წყალდიდობა	გვალვა	წყალდიდობა	
2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები ურბანულ რაიონებში წვიმებით გამოწვეული სანიაღვრეების გადავსება და წყლის ჩაშვება არ არის იდენტიფიცირებული, როგორც წერტილოვანი წყარო.						
15	H	წვიმის წყლის მართვის საჯარო ინფრასტრუქტურის მახასიათებლები	H	M	M	M
11	M	ქალაქების გამწვანება (მწვანე სახურავები, ქალაქის ბაღები და ა.შ.)	M		H	M
12	M	ნიაღვრული ჩამონადენის შემაკავებელი ბაღები	M	M		M
13	M	ტყე-პარკები	M	M	H	M
14	M	წყალგამტარი ზედაპირები	M	M		M
18	M	გრუნტის გაშიშვლება (შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად)	M	M	M	M
24	M	ჭაობების აღდგენა და მართვა	M	M	H	H
25	M	ჭალების აღდგენა და მართვა	H	M	H	H
26	M	ნაკადულების და მდინარეების აღდგენა	M	M	H	H
33	M	ბუფერული ზოლების, სანაპირო ტყეების და ჭალის ტყეების აღდგენა	M	H	H	H
2.2 სოფლის მეურნეობა შეწონილი ნაწილაკები, საკვები ნივთიერებები და პესტიციდები.						
2	H	რესურსების დაზოგვაზე მიმართული კულტივირების პრაქტიკა (მსგავსია კონსერვაციული სოფლის მეურნეობის, ნიადაგის კონსერვაციაზე მიმართული სოფლის მეურნეობის და ა.შ.).	M	M	M	H
5	H	დრენაჟის ადაპტირება (მაგ., დემონტაჟი ან კონტროლი)	M	H		M
6	H	არსებული საძოვრების, სტეპების და ბუნებრივი სათიბების აღდგენა	M	M	H	H
16	H	ტყის გაშენება	H	M	H	H
17	H	მდელოებად და საძოვრებად გარდაქმნა	M	M	H	H
21	H	ნახევრად ხელოვნური ჭაობები და წყლის ობიექტები				
1	M	საძოვრების მდგრადი მართვა	M	M	H	H
3	M	აგრომეტყვეობა, ბუფერული ზოლები და ცოცხალი ღობეები	M	M	H	H
4	M	ტრადიციული დატერასება	M	M		M
8	M	ადაპტირებული მეტყვეობა ჭალებსა და ნოტიო ტყეებში	M		H	H
19	M	არსებული მაღალი ეკოლოგიური ღირებულების ეკოსისტემების კონსერვაცია		M	H	M
20	M	ბუნებრივი წყალშეკრება/საკვანძო დიზაინი	M	H		M
22	M	ნატანის შემკრები აუზები და საკონტროლო კაშხლები	M			M
24	M	ჭაობების აღდგენა და მართვა	M	M	H	H
25	M	ჭალების აღდგენა და მართვა	H	M	H	H
26	M	ნაკადულების და მდინარეების აღდგენა	M	M	H	H
33	M	ბუფერული ზოლების, სანაპირო ტყეების და ჭალის ტყეების აღდგენა	M	H	H	H

H: მაღალეფექტური; M: ზომიერად ეფექტური.

2.3 მეტყვევება						
შეწონილი ნაწილაკები, საკვები ნივთიერებები, პესტიციდები და პოტენციური მჟავიანობა.						
5	H	დრენაჟის ადაპტირება (მაგ., დემონტაჟი ან კონტროლი)	M	H		M
7	H	ბუნებრივი სატყეო მეურნეობა (უწყვეტი საფარის შენარჩუნებაზე მიმართული სატყეო მეურნეობის მსგავსი)	M	M	H	H
22	H	ნატანის შემკრები აუზები და საკონტროლო კაშხლები	M			M
8	M	ადაპტირებული მეტყვევება ჭალებსა და ნოტიო ტყეებში	M		H	H
9	M	სატრანსპორტო გადაადგილების კონტროლზე მიმართული სატყეო მეურნეობა (წყლის მიმართ სენსიტიური სატრანსპორტო საშუალებები, დიზაინი ან გზისა და ნაკადულების გადაკვეთები)	M			M
17	M	მდელოებად და საძოვრებად გარდაქმნა	M	M	H	H
19	M	არსებული მაღალი ეკოლოგიური ღირებულების ეკოსისტემების კონსერვაცია		M	H	M
24	M	ჭაობების აღდგენა და მართვა	M	M	H	H
25	M	ჭალების აღდგენა და მართვა	H	M	H	H
26	M	ნაკადულების და მდინარეების აღდგენა	M	M	H	H
33	M	ბუფერული ზოლების, სანაპირო ტყეების და ჭალის ტყეების აღდგენა	M	H	H	H
2.4 -დან 2.10-ის ჩათვლით: სხვა						
დაბინძურების დიფუზური წყაროები, როგორცაა ტრანსპორტი, დაბინძურებული მიტოვებული სამრეწველო ობიექტები, ნარჩენი წყლების ჩაშვება, როდესაც ეს არ არის დაკავშირებული კანალიზაციის ქსელთან, ატმოსფერული ნალექებით დაბინძურება, მადაროები, აკვაკულტურა ან სხვა ტიპის დიფუზური წყაროები.						
15	H	წვიმის წყლის მართვის საჯარო ინფრასტრუქტურის მახასიათებლები	H	M	M	M
14	M	წყალგამტარი ზედაპირები	M	M		M
- ეროვნული სატყეო ორგანოები
- მეტყვეები
- ადგილობრივი თემები

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული

პრაქტიკული მაგალითები

ინფორმაცია ჯერ არ არის მოძიებული. დასამატებელია.

თანასარგებელი

[M] წყალდიდობების პრევენცია

[M] ბიომრავალფეროვნება

ასევე წვლილი შეაქვს

შემდეგის განხორციელებაში:

[M] ბუნების აღდგენის შესახებ კანონი

[H] ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 წლისთვის

ერთეულის ღირებულების მაგალითები

როგორც წესი, მიწის შესყიდვა არ არის საჭირო მდინარეებში მყარი მერქნის ნარჩენების შესატანად და შესანარჩუნებლად, რადგან იგი ჩვეულებრივ ფერმერების ან ტყის მფლობელების საკუთრებაშია, რომლებიც მიმდებარე მიწებს მართავენ. განხორციელებამდე არ არის საჭირო კვლევების ჩატარება, და არხში მერქნის მყარი ნარჩენების შეტანასთან დაკავშირებული ხარჯების გარდა, სხვა კაპიტალური ხარჯები დაბალია. მოვლა-პატრონობის ხარჯები დაბალია.

ტექნიკური რეფერენციები

[EN] [NWRM ფაქტების ფურცელი](#)

[EN] [მერქნიანი ნარჩენების მართვა მდინარეებში, ნაკადულებსა და ქალებში](#)



© Ed Lyons, 2017



#11 ქალაქების გამწვანება

სხვადასხვა გადაწყვეტილებებს, როგორცაა მწვანე სახურავები, ქალაქის ბაღები, ურბანული ფერმერობა და ხეების გაშენება, შეუძლიათ გაზარდონ მცენარეულობის როდენობა ქალაქებში და გააუმჯობესონ წვიმის წყლის შეღწევა და შეკავება. ისინი შეიძლება განხორციელდეს როგორც სახურავებზე, ასევე ნიადაგზე.

განხორციელების მასშტაბი

ურბანულ რაიონებში მცენარეულობის გაზრდის ღონისძიებები შეიძლება გამოყენებულ იქნას სივრცითი მასშტაბების და მახასიათებლების გათვალისწინებით ქალაქებში და მათ გარშემო, როგორც ლოკალურ/სამეზობლოს მასშტაბით, ასევე ქალაქის უფრო დიდი მასშტაბით.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
	M	M	M								M

თანასარგებელი

[M] წყალდიდობების პრევენცია

[H] ბიომრავალფეროვნება

ასევე წვლილი შეაქვს შემდეგის განხორციელებაში:

[M] წყალდიდობების რისკების მართვის დირექტივა

[M] ურბანული ნარჩენი წყლების გადამუშავების დირექტივა

[M] ბუნების აღდგენის შესახებ კანონი

[H] ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 წლისთვის

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

ქალაქების გამწვანება გულისხმობს ზომებს, რომლებიც ითვალისწინებენ ქალაქებსა და ბუნებას შორის ინტეგრაციის გაძლიერებას ურბანული მედეგობის გაუმჯობესების მიზნით და უფრო ჯანსაღი ქალაქებისა და თემების ხელშესაწყობად. მაგალითები მოიცავს მცირე ზომის მწვანე სივრცეებს შენობებზე, ბიოტაპებს, მწვანე დერეფნებს ქუჩებისა და წყლის ობიექტების გასწვრივ, ურბანულ პარკებს და ტყეებს ქალაქის საზღვრებში, და უფრო დიდ ტერიტორიებზე ჭაობების და ტყეების მოწყობა მდინარის ზედაწელში, ან სანაპიროზე, რომლებიც იცავს ქალაქებს წყალდიდობისგან და აუმჯობესებენ წყლის ხარისხს და მის ხელმისაწვდომობას.

დაინტერესებული მხარეები

- ქალაქის ადმინისტრაცია
- არასამთავრობო ორგანიზაციები/სამოქალაქო საზოგადოება
- მოქალაქეები ან სათემო ჯგუფები
- საკვების მწარმოებლები და კულტივატორები (ფერმერები, მეზაღებები)

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება მიწის იჯარის ხარჯები	ჰა ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალები	ხარჯები მასალა საირიგაციო წყალი	კგ/ჰა ლ/ჰა

ერთეულის ღირებულების მაგალითები

- ქალაქებში ხეების გაშენება მოიცავს: 1) ხეების კაპიტალურ ღირებულებას; 2) ხეების გასხვლისა და მოვლის ხარჯებს; 3) ირიგაცია გვალვისადმი მიდრეკილ ადგილებში. (NWRM)
- მწვანე სახურავების მოწყობა მოიცავს 1) კაპიტალურ ხარჯებს (€25-130/მ² ფართობის ექსტენსიურ მწვანე სახურავზე და €130-300/მ² ინტენსიურ მწვანე სახურავზე; 2) მოვლის ღირებულება ყოველ 6-12 თვეში ექსტენსიური მწვანე სახურავების შემთხვევაში და რეგულარულად ინტენსიური მწვანე სახურავებისთვის (55 ევრომდე /მ²-ზე ყოველი მოვლის ღონისძიებისთვის). (NWRM).

ქალაქ ერევნის ხელახალი ვეგეტაციის განვითარების გეგმის მომზადება და განხორციელება ღირს 10 ათასი ევრო/ჰა (ერევანის გამწვანების გეგმა, 2017).

პრაქტიკული მაგალითები

- ერევანის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა, სასომხეთი
- სასომხეთის ხეების პროექტი
- თბილისის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა, საქართველო

ტექნიკური რეფერენციები

[EN] NWRM ფაქტების ფურცელი U01 და F12



#12 წვიმის ბაღები

წვიმის ბაღები არის მცირე ზომის მცენარეული საფარის მქონე ბაღები, რომლებიც გამოიყენება წყლის შესანახად და ინფილტრაციისთვის. ისინი განსაკუთრებით აქტუალურია იქ, სადაც სახურავებიდან ჩამონადენი წყლის საკანალიზაციო სისტემებში ჩაშვების ნაცვლად მისი ინფილტრაცია ხდება.

განხორციელების მასშტაბი

წვიმის ბაღები, როგორც წესი, ეწყობა საკუთრების დონეზე და შენობებთან ახლოს, მაგალითად, სახურავის ჩამონადენი წყლის შესაგროვებლად და ინფილტრაციისთვის. წვიმის ბაღები შეიძლება გაფართოვდეს და ხელმისაწვდომი ფართობი დაიკავონ ჩამონადენის შესანახად და ინფილტრაციის უზრუნველსაყოფად. კომბინირებულად გამოყენების შემთხვევაში, წვიმის ბაღის კომპონენტები შეიძლება ჩართული იყოს უფრო დიდ ტერიტორიებზე, პარკები, სადაც უფრო დიდი სადრენაჟო ტერიტორიების მომსახურებაა შესაძლებელი.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
	M	M	M								M

თანასარგებელი

- [M] წყალდიდობების პრევენცია
- [M] გვალვის პრევენცია

ასევე წვლილი შეაქვს შემდეგის განხორციელებაში:

- [M] წყალდიდობების რისკების მართვის დირექტივა
- [M] ურბანული ნარჩენი წყლების გადამუშავების დირექტივა
- [M] ბუნების აღდგენის შესახებ კანონი

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

წვიმის ბაღების ცალკეული კომპონენტები შექმნილია მხოლოდ მცირე ზედაპირიდან ჩამონადენის შესაგროვებლად, მაგალითად, სახურავიდან ან ავტოსადგომიდან. კომბინაციაში, წვიმის ბაღების კომპლექსს შეუძლია შეეკრიბოს ჩამონადენი უფრო დიდი ფართობიდან. წვიმის ბაღებში ბაღის ლანდშაფტის დიზაინში ჩართული კომპონენტების დიდ რაოდენობას იყენებენ, როგორცაა ბალახის ფილტრის ზოლები, წყალსატევები წყლის დროებით შესანახად, ორგანული/მულჩიანი ადგილები ფილტრაციისთვის, ნიადაგის გამწვანება ინფილტრაციისთვის, მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების გაშენება ნალექის შესაჩერებლად და ქვიშის კვალების მოწყობა კარგი დრენაჟის უზრუნველსაყოფად.

დაინტერესებული მხარეები

- ქალაქის ადმინისტრაცია
- არასამთავრობო ორგანიზაციები/სამოქალაქო საზოგადოება
- მოქალაქეები ან სათემო ჯგუფები

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალები	სარგავი მასალა	კგ/კა
	საწვავი	ლ
გამოკვლევები და კვლევები	კვლევა	დღე

ერთეულის ღირებულების მაგალითები

- წვიმის ბაღების გაშენების ღირებულება მერყეობს ადგილის მომზადების საჭიროებების და არჩეული გამწვანების ტიპის მიხედვით. თუ წვიმის ბაღისთვის მიწის ამოღება და ახალი ნიადაგის მომზადება გახდა საჭირო, ხარჯები გაცილებით მაღალი იქნება. თუ ბაღის მოსაწყობად არ არის საჭირო მიწის ამოღება და მის მოსაწყობად საჭიროა არსებული გამწვანებული ფართობის მოდიფიკაცია, ხარჯები გაცილებით დაბალი იქნება, თუმცა ბაღის ეფექტურობა შეიძლება შემცირდეს. (*NWRM*)
- სავარაუდოდ, ტექნიკური ხარჯები არ იქნება ძალიან მაღალი. საცხოვრებელი სახლის ბაღში აშენებული მარტივი წვიმის ბაღის მოვლის ხარჯები არ იქნება მაღალი, ქუჩის დონეზე მოწყობილი ხოლო წვიმის ბაღების მოვლა-პატრონობა მუნიციპალური ხელისუფლების პასუხისმგებლობაში შედის. (*NWRM*)

პრაქტიკული მაგალითები

- წვიმის ბაღი ქალაქ ფაინაში, უკრაინა
- 90 წვიმის ბაღი კიშინიოვში, მოლდოვაში

ტექნიკური რეფერენციები

- [EN] *NWRM* ფაქტების ფურცელი
- [UA] *WWF* ფაქტების ფურცელი



© Pixabay, Tbilisi

#13 ტყე-პარკები

ურბანულ ტყე-პარკებს შეუძლიათ უზრუნველყონ ჰიდროლოგიასთან დაკავშირებული და სხვა ეკოსისტემური სერვისების ფართო სპექტრი. ურბანულ რაიონებში არსებულ ტყეებს დიდი ღირებულება აქვთ, რადგან მათ შეუძლიათ გააუმჯობესონ ჰაერის ხარისხი, დაარეგულირონ ადგილობრივი მიკროკლიმატი, გააუმჯობესონ ურბანული ბიომრავალფეროვნება და ხელი შეუწყონ კლიმატის ცვლილების შერბილებას, და აგრეთვე უზრუნველყონ დამატებითი ჰიდროლოგიური სარგებელი. ტყიან ნიადაგებს ხშირად აქვთ უფრო დიდი ინფილტრაციის უნარი, ვიდრე სხვა ურბანული მიწის საფარს და მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება წყალსატევების შევსების თვალსაზრისით.

განხორციელების მასშტაბი

ურბანული ტყე-პარკები ურბანულ ადგილებში მდებარეობენ. ეს ღონისძიება შეიძლება გამოყენებული იქნას სამ დონეზე ურბანული მასშტაბით: ქუჩის დონეზე, უბნის/რაიონის დონეზე და ქალაქის დონეზე. ხანდახან, ეს ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს ქალაქარეთ ტერიტორიების მასშტაბით. ახალი ურბანული განვითარების დაგეგმვისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ურბანული ტყე-პარკების შექმნის შესაძლებლობა. მწელია ამ ღონისძიების განხორციელება წყალმომარაგების კონტექსტში, რადგან ტყე-პარკები ქალაქებშია განლაგებული.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
	M	M	M								M

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

ტყე-პარკების გაშენების დაგეგმვა მოითხოვს პლანტაციისა და დიზაინის მეთოდოლოგიას (პლანტაციის ჩარჩო, ადაპტირებული სახეობები), რომელიც ინკორპორირებულია ურბანული ლანდშაფტის კრიტერიუმებში და ურბანული გენერალურ გეგმაში. უნდა შეიქმნას გვერდითი პროდუქტების ტექნიკური მოვლისა და ხელახალი გამოყენების პროგრამა.

დაინტერესებული მხარეები

- ქალაქის ადმინისტრაცია
- მიწის მესაკუთრეები და მოიჯარეები
- არასამთავრობო ორგანიზაციები/სამოქალაქო საზოგადოება
- მოქალაქეები ან სათემო ჯგუფები

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება მიწის იჯარის ხარჯები	ჰა ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა საირიგაციო წყალი	კგ/ჰა ლ/ჰა

პრაქტიკული მაგალითები

- სასომხეთის ხეების პროექტი
- ტყეები და მდგრადი ქალაქები

თანასარგებელი

[M] წყალდიდობების პრევენცია

[M] გვალვის პრევენცია

[H] ბიომრავალფეროვნება

ასევე წვლილი შეაქვს შემდეგის განხორციელებაში:

[M] წყალდიდობების რისკების მართვის დირექტივა

[M] ურბანული ნარჩენი წყლების გადამუშავების დირექტივა

[M] ბუნების აღდგენის შესახებ კანონი

[H] ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 წლისთვის

ერთეულის ღირებულების მაგალითები

- ქალაქებში ხეების მოშენება მოიცავს: 1) ხეების კაპიტალურ ხარჯებს; 2) ხეების გასხვლისა და მოვლის ხარჯებს; 3) ირიგაციის ხარჯებს გვალვისადმი მიდრეკილ ადგილებში. (NWRM)
- საბოლოო ღირებულება დაკავშირებულია მცენარეების დარგვასთან, მართვის ხარჯებთან (დარგვა, გასხვლა, მორწყვა, მწერების და დაავადებების კონტროლი, ხეების მოჭრა), პროგრამის ადმინისტრირება და ინფრასტრუქტურის შეკეთება.

ტექნიკური რეფერენციები

[EN] NWRM ფაქტების ფურცელი

[EN] გაიდლაინები ურბანული და ქალაქარეთ სატყეო მეურნეობის შესახებ

[EN] ურბანული ტყეები - NBS მეთოდოლოგია

H: მაღალეფექტური; M: ზომიერად ეფექტური. დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების კატალოგი. ზეწოლის ტიპების, თანასარგებლის და ევროპული პოლიტიკის სინერგიების რანჟირების დეტალები მოცემულია დანართ 1-ში. გაითვალისწინეთ, რომ ეს რანჟირება მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებში ამოყვანილი და შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივ დონეზე.

#14 წყალგამტარი ზედაპირები

წყალგამტარი საფარი შექმნილია იმისთვის, რომ წვიმის წყალმა შეაღწიოს ნიადაგის ზედაპირში, ან ქვედა ფენებში (ნიადაგი და წყალშემკრები ჰორიზონტი) ან შენახული იქნას მიწის ქვეშ და შემდეგ ჩაეშვას კონტროლირებადი სიჩქარით ზედაპირულ წყლებში. არსებობს ორი სახის საფარი: გამტარი ტროტუარები და ფოროვანი ტროტუარები.

განხორციელების მასშტაბი

წყალგამტარი საფარი პოტენციურად გამოიყენება ყველა ხელოვნურ ზედაპირზე, იმ პირობით, რომ იგი სათანადოდ არის დაპროექტებული მისი დანიშნულებისამებრ (მაგ. საგზაო მოძრაობა). ქალაქებში ეს ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ლოკალურ/სამეზობლოს მასშტაბით, ასევე ქალაქის უფრო ფართო მასშტაბით. ის პირდაპირ არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, მაგრამ შეიძლება გამოყენებული იქნას სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე არსებულ ხელოვნურ ზედაპირებზე, მაგ. ფერმების ეზოებში.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალდება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
	M	M	M			M			M		M

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

წყალგამტარი ტროტუარი ეწყობა წყალგაუმტარი ტროტუარის ჩანაცვლების მიზნით. რეგულარული შემოწმება და ტექნიკური მომსახურება მნიშვნელოვანია წყალგამტარი ტროტუარების ეფექტური მუშაობისთვის და მათი გამტარიანობის უზარის შემცირების თავიდან ასაცილებლად.

დაინტერესებული მხარეები

- ქალაქის ადმინისტრაცია
- არასამთავრობო ორგანიზაციები/სამოქალაქო საზოგადოება
- მოქალაქეები ან სათემო ჯგუფები

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სამშენებლო მასალა (ცემენტი, და ა.შ.)	ერთეული, კგ/კა
	საწვავი	ლ
გამოკვლევები და კვლევები	ტექნიკური კვლევა, გეოტექნიკური გამოკვლევა	დღე, კვლევა

პრაქტიკული მაგალითები

- მწვანე რეკონსტრუქცია უკრაინაში

ერთეულის ღირებულების მაგალითები

- წყალგამტარი ზედაპირების დამონტაჟების სავარაუდო ხარჯების დიაპაზონი შემდეგნაირია: გეოტექნიკური კვლევები (€0-5 ათასი); გამტარი საფარის კაპიტალური ღირებულება (€40-90/მ²); ტექნიკური ხარჯები (€1-€5/მ²) ([NWRM](#)).

ტექნიკური რეფერენციები

- [EN] [NWRM ფაქტების ფურცელი](#)



© Aaron Volkening, 2022



#15 წვიმის წყლის მართვის საჯარო ინფრასტრუქტურის მახასიათებლები

სადრენაჟო გადაწყვეტილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზედაპირული წყლების მიღებისა და კანალიზაციის ქსელების მეშვეობით მიმდებარე მდინარეებისკენ პირდაპირ ჩადენის ალტერნატივას მოიცავს თხრილებს, არხებს და წყაროებს, ფილტრაციის ზოლებს, საკანალიზაციო აუზებს, ინფილტრაციულ თხრილებს, შემაკავებელ აუზებს და ინფილტრაციულ აუზებს.

განხორციელების მასშტაბი

ნებისმიერი ადგილი, სადაც შესაძლებელია სადრენაჟო გადაწყვეტილებების დანერგვა, პოტენციურად შესაფერისია წვიმის წყლის მართვის საჯარო ფუნქციებისთვის. მისი განხორციელება უნდა მოხდეს წყლის ობიექტის მასშტაბით, რათა ზეწოლების პრევენცია და შემცირება მოხდეს.

თანასარგებელი

[H] წყალდიდობების პრევენცია

[M] გვალვის პრევენცია

[M] ბიომრავალფეროვნება

ასევე წვლილი შეაქვს შემდეგის

განხორციელებაში:

[H] წყალდიდობების რისკების მართვის დირექტივა

[M] ურბანული ნარჩენი წყლების გადამუშავების დირექტივა

[M] ბუნების აღდგენის შესახებ კანონი

[M] ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 წლისთვის

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
	H	H	H			H			M		M

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

წვიმის წყლის მართვის საჯარო ფუნქციები ხორციელდება ადგილობრივი პირობებისა და საჭიროებების შესაბამისად. ეს მოიცავს ფართო სპექტრის ელემენტებს, როგორცაა თხრილები, არხები და წყაროები, ფილტრაციის ზოლები, საკანალიზაციო აუზები, ინფილტრაციულ თხრილები, შემაკავებელი აუზები და ინფილტრაციული აუზები.

დაინტერესებული მხარეები

- ქალაქის ადმინისტრაცია
- არასამთავრობო ორგანიზაციები/სამოქალაქო საზოგადოება
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)
- მოქალაქეები ან სათემო ჯგუფები

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა	კგ/კა
	საწვავი	L
გამოკვლევები და კვლევები	ტექნიკური კვლევა, გეოტექნიკური გამოკვლევა	დღე, კვლევა

ერთეულის ღირებულების მაგალითები

საზოგადოებრივი ტერიტორიების წყალგამტარი გამწვანების სავარაუდო ღირებულება არის €43/მ², ხოლო კერძო სექტორში მწვანე სახურავის მოწყობის სავარაუდო ღირებულება არის €50/მ². საზოგადოებრივი ადგილების წყალგამტარი ლანდშაფტის ექსპლუატაციისა და მოვლის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 15000 ევროს წელიწადში, ხოლო მწვანე სახურავების ექსპლუატაცია და მოვლა დაახლოებით 6 ევრო/მ²/წელიწადში. (მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა, კიშინიოვი, 2019)

პრაქტიკული მაგალითები

- წვიმის წყლის შეკავება და წყალგამტარი ლანდშაფტის მოწყობა კიშინიოვში, მოლოდვა

ტექნიკური რეფერენციები

[EN] NWRM ფაქტების ფურცელი U04-დან U012-მდე



© Wonderlane, 2011



#16 ტყეების გაშენება

ტყის გაშენება არის ტყის შექმნა სხვა მიწათსარგებლობისთვის განკუთვნილ მიწაზე. ტყის აქტიური გაშენება გულისხმობს ხეების დარგვას, ხოლო პასიური გაშენება ხელს უწყობს ტყის ეკოსისტემების ბუნებრივ განვითარებას მიწის მიტოვების შემდეგ. პირველ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს მხოლოდ ადგილობრივი ნერგების გამოყენებას.

ტყის გაშენება შეიძლება ჩაითვალოს გატყეების ფორმად, რადგან იგი ხელს უწყობს გაჩეხილი ტყეების აღდგენას.

განხორციელების მასშტაბი

ეს ღონისძიება ეხება დეგრადირებულ მიწებს, სასოფლო-სამეურნეო მიწებს და ნახევრად ბუნებრივ ტერიტორიებს (ბუნებრივი პარკები, დაცული ტერიტორიები). ნებისმიერი ადგილი, სადაც შესაძლებელია ხეების დარგვა, პოტენციურად შესაფერისია ტყის გასაშენებლად. ეს ღონისძიება უნდა განხორციელდეს წყლის ობიექტის მასშტაბით, რათა ზეწოლების პრევენცია და შემცირება მოხდეს.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარი	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყევეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
				H			M	M			M

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

ტყის გაშენება შეიძლება მოიცავდეს ხეების დარგვასა და დათესვას უტყეო ზონაში. ტყის გაშენება მოიცავს ღონისძიებების დიდ სპექტრს, მათ შორის ბუნებრივი აღდგენას, სამრეწველო პლანტაციების გაშენებას და სასოფლო-სამეურნეო მეტყევეობას (აგროტყე).

დაინტერესებული მხარეები

- ეროვნული სატყეო ადმინისტრაცია
- არასამთავრობო ორგანიზაციები/სამოქალაქო საზოგადოება
- მოქალაქეები ან სათემო ჯგუფები
- მეტყევეები და კულტივატორები

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება მიწის იჯარის ხარჯები	ჰა ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა	კგ/ჰა
	საწვავი	ლ
	საირიგაციო წყალი	ლ/ჰა

ერთეულის ღირებულების მაგალითები

1ჰა ტყის გაშენებისთვის საჭირო რესურსებია: 2000-5000 ნერგი; 10-50 ტ წყალი (პირველი მომწვეცისთვის); 40 – 100 სამუშაო დღე; ნიადაგის ამოსაღები/საბურღი ტექნიკა; სატრანსპორტო საშუალებები, სავარაუდო ღირებულებით 5,700 აშშ დოლარი/ჰა, მათ შორის შემოღობვა (30%), დარგვა (30%) და ნერგები (40%), რაც სომხეთში მაღალმთიან ტერიტორიებზე ტყეების გაშენების გზით ეროზიის კონტროლის პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

პრაქტიკული მაგალითები

- სომხეთში მაღალმთიან ტერიტორიებზე ტყეების გაშენების გზით ეროზიის კონტროლის პროექტი, 2018
- სომხეთში, გეღარქუნიის რაიონში 34 ჰა ტყეების გაშენება, 2013
- 150 ჰა ტყის გაშენება ორპის ეროვნულ პარკში, მოლდოვაში, 2013 წ.
- ტყეების გაფართოება და რეაბილიტაცია მოლდოვაში, 2023 წ., 2023
- დეგრადირებული მიწების, მდინარისპირა ტერიტორიების და დამცავი სარტყლების გაშენება მოლდოვაში, 2016 წ., 2016
- ტყის აღდგენა მეტყევეობის ღონისძიებების და ხეხილის ხეების დარგვით სომხეთ

ტექნიკური რეფერენციები

[EN] [NWRM ფაქტების ფურცელი F03-დან F05-მდე](#)

H: მაღალეფექტური; M: ზომიერად ეფექტური. დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების კატალოგი. ზეწოლის ტიპების, თანასარგებლის და ეროვნული პოლიტიკის სინერგიების რანჟირების დეტალები მოცემულია დანართ 1-ში. გაითვალისწინეთ, რომ ეს რანჟირება მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებში ამოყვანილი და შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივ დონეზე.



© ScotGov Rural, 2015



#17 მდელივებისა და სამოვრების გარდაქმნა

ამ ტიპის ღონისძიება გულისხმობს დეგრადირებული სამოვრების, სტეპების და მდელივების აღდგენას მანამდე სხვა მიწათსარგებლობისთვის გამოყენებულ მიწაზე. მდელივები და სამოვრები უზრუნველყოფს კარგ პირობებს დროებითი წყალდიდობის დროს წყლის შეკრებისა და შესანახად. ისინი ასევე იცავენ წყლის ხარისხს დანალექების შეკავებით და საკვები ნივთიერებების ათვისებით.

ეს ღონისძიება მოიცავს დეგრადირებული სამოვრების აღდგენას, რაც დაკავშირებულია მდელივების კულტურისათან, ხოლო [ღონისძიება #6](#) დაკავშირებულია ბუნებრივი მდელივების ეკოსისტემების (ანუ ბუნებრივ სტეპების) აღდგენასთან.

განხორციელების მასშტაბი

ეს ღონისძიება გამოიყენება მინდვრის ან ფერმის მასშტაბით, მიწაზე, რომელიც ადრე არ გამოიყენებოდა მდელივებად ან სამოვრად. ის უნდა განხორციელდეს ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც სამოვრებია. ის უნდა განხორციელდეს წყლის ობიექტის მასშტაბით, რათა ზეწოლების პრევენცია და შემცირება მოხდეს.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალალბა და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
				H	M		M	M			M

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

მდელივებისა და სამოვრების გარდაქმნა შეიძლება მოხდეს ფრთხილად შერჩეული ბალახის ჯიშების დარგვით. მდელივები არის ტერიტორიები ან მინდვრები, რომელთა ძირითადი მცენარეულობაა ბალახი, ან სხვა არამერქნიანი მცენარეები, რომლებიც გამოიყენება სათიბისთვის და თივისთვის. სამოვრები არის ბალახოვანი ან ტყიანი ადგილები, ხავსიანი ჭაობები ან ჯაგნარები, რომლებიც ძირითადად გამოიყენება სამოვრად.

დაინტერესებული მხარეები

- მიწის მფლობელები
- მიწათმოსარგებლები (მოიჯარეები, პირუტყვის მფლობელები, მწყემსები)
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)
- ადგილობრივი თემები

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება	ჰა
	მიწის იჯარის ხარჯები	ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა	კგ/ჰა
	საწვავი	ლ

პრაქტიკული მაგალითები

- [სამოვრების აღდგენა მოლდოვას ორპეის ეროვნულ პარკში, 2013](#)

ერთეულის ღირებულების მაგალითები

მიწის სახნავიდან მუდმივ მდელივად გარდაქმნის დაახლოებითი ღირებულებაა €154/ჰა-ზე, ხოლო მდელივების მოვლის ხარჯები შეადგენს დაახლოებით €159- €420/ჰა სამოვრების შემთხვევაში და დაახლოებით €189- €358/ჰა სათიბის შემთხვევაში. ([NWRM](#))

ტექნიკური რეფერენციები

- [EN] [NWRM ფაქტების ფურცელი](#)
- [EN] [სახელმძღვანელო დეგრადირებული ბუნებრივი სამოვრების \(სამოვრები და სათიბები\) გაუმჯობესების შესახებ](#), სასომხეთი



#18 ნიადაგის გამტარიანობის გაუმჯობესება და რენატურაცია (ნიადაგები, ნაგებობები)

ნიადაგის გამტარიანობის გაუმჯობესება გულისხმობს აშენებული და წყალგაუმტარი ნაგებობების დემონტაჟს წყალგამტარი მიწათსარგებლობის აღსადგენად. იგი მიზნად ისახავს წვიმის წყალის ზედაპირიდან შეღწევის ხელშეწყობას.

ეს გადაწყვეტილება მოიცავს ისეთი მეთოდების ფართო სპექტრს, როგორიცაა [14] წყალგამტარი ზედაპირები და [15] წვიმის წყლის მართვის ინფრასტრუქტურის მახასიათებლები.

განხორციელების მასშტაბი

ნიადაგის გამტარიანობის გაუმჯობესება პოტენციურად გამოიყენება ყველა ხელოვნურ ზედაპირზე. ქალაქებში ეს ღონისძიება შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ლოკალურ/სამეზობლოს მასშტაბით, ასევე ქალაქის უფრო ფართო მასშტაბით. ეს ღონისძიება პირდაპირ არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელოვნურ ზედაპირებზე სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე, მაგ., ფერმების ეზოებში.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარი	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
	M	M	M			M		M			M

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

ნიადაგის გამტარიანობის გაუმჯობესების ღონისძიება ხორციელდება წყალგაუმტარი მყარი საფარის მქონე ტერიტორიის, აშენებული ნაგებობების ან/და წყალგაუმტარი ნიადაგების შესაცვლელად.

დაინტერესებული მხარეები

- ქალაქის ადმინისტრაცია
- არასამთავრობო ორგანიზაციები/სამოქალაქო საზოგადოება
- მოქალაქეები ან სათემო ჯგუფები

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სამშენებლო მასალა (ცემენტი, და ა.შ.)	ერთეული, კვ/კა
	სარგავი მასალა	კვ/კა
	საწვავი	ლ
გამოკვლევები და კვლევები	ტექნიკური კვლევები, გეოტექნიკური კვლევა	კვლევა, დღეები

ერთეულის ღირებულების მაგალითები


- წყალგამტარი ზედაპირების მოწყობის სავარაუდო ხარჯები შემდეგია: გეოტექნიკური კვლევები (€0-5 ათასი); წყალგამტარი საფარის კაპიტალური ღირებულება (€40-90/მ²); ტექნიკური მომსახურების ხარჯები (€1-5/მ²) (*NWRM*).
- საზოგადოებრივი ტერიტორიების წყალგამტარი გამწვანების მოწყობის სავარაუდო ღირებულებაა 43 ევრო/მ², ხოლო მწვანე სახურავის მოწყობის ღირებულება კერძო სექტორში შეადგენს 50 ევრო/მ². საზოგადოებრივ ადგილებში გამტარი ლანდშაფტის ექსპლუატაციისა და მოვლის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 15000 ევროს წელიწადში, ხოლო მწვანე სახურავების ექსპლუატაცია და მოვლა დაახლოებით 6 ევრო/მ² წელიწადში. (*მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა, კიშინიოვი, 2019 წ.*)

პრაქტიკული მაგალითები

- [მწვანე რეკონსტრუქცია უკრაინაში](#)
- [წვიმის წყლის შეკავება და წყალგამტარი ლანდშაფტების მოწყობა კიშინიოვში, მოლდოვაში](#)

ტექნიკური რეფერენციები

[EN] *NWRM* ფაქტების ფურცელი



#19 არსებული მაღალი ეკოლოგიური ღირებულების მქონე ეკოსისტემების კონსერვაცია

არსებული მაღალი ეკოლოგიური ღირებულების მქონე ეკოსისტემების კონსერვაცია, მოვლა და შენარჩუნება მოიცავს სათიბებს, სტეპებს, ხეხილის ზაღებს, ძველ ტყეებს და ა.შ. ეს ეკოსისტემები დადებითად მოქმედებს წყლის რესურსებზე (ინფილტრაცია, გაწმენდა, სასუქებისა და პესტიციდების მცირე რაოდენობით შეტანა, ან მათ გამოყენებაზე უარის თქმა) და შესაბამისად, ისინი სამიზნე ჰაბიტატია.

განხორციელების მასშტაბი

მაღალი ეკოლოგიური ღირებულების მქონე ეკოსისტემების კონსერვაცია პოტენციურად გამოიყენება ყველა სამიზნე ჰაბიტატისთვის. დაცული ტერიტორიები შეიძლება მოიძებნოს მრავალფეროვან გარემოში, მათ შორის მთებში, ზღვებზე, უდაბნოებში, ტყეებში, მტკნარი წყლის ტბებზე და შეიძლება საზღვრების გადაკვეთებზეც.

თანასარგებლო

[M] გვალვის პრევენცია

[H] ბიომრავალფეროვნება

ასევე წვლილი შეაქვს შემდეგის განხორციელებაში:

[H] ჰაბიტატებისა და ფრინველების შესახებ დირექტივა

[M] ბუნების აღდგენის შესახებ კანონი

[M] ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 წლისთვის

[H] სატყეო სტრატეგია 2030 წლისთვის

[M] ნიადაგის სტრატეგია 2030 წლისთვის

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სასაქონლო წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
				M	M		M	M			

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

არსებული მაღალი გარემოსდაცვითი ღირებულების მქონე ეკოსისტემების კონსერვაცია მოიცავს მეთოდების ფართო სპექტრს, როგორცაა გეოგრაფიული სივრცის მკაფიო განსაზღვრა, მმართველობის სპექტრი, რომელიც მოიცავს კერძო პირებს და სახელმწიფოს, და დაცული ტერიტორიების მსოფლიო მონაცემთა ბაზაში (WDPA) შეტანილი ადგილების აღიარებას. დაცული ტერიტორიები უნდა იმართებოდეს უწყვეტად, და არა როგორც მოკლევადიანი ან დროებითი მართვის სტრატეგიის ნაწილი.

დაინტერესებული მხარეები

- ეროვნული სატყეო ადმინისტრაცია
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
გამოკვლევები და კვლევები	ტექნიკური კვლევები, ბუნებრივი რესურსების შეფასება და ა.შ.	კვლევა, დღეები

პრაქტიკული მაგალითები

ინფორმაცია ჯერ არ არის მოძიებული. დასამატებელია.

პრაქტიკული მაგალითები

- [ბიოსფერული რეზერვები და კლიმატის ადაპტაცია უკრაინაში, 2021 წ.](#)
- [სომხეთის მესამე რამსარის საიტი](#)

ტექნიკური რეფერენციები

- [\[EN\] დაცული ტერიტორიების შექმნის სახელმძღვანელო, თურქეთი \(FAO\)](#)



© Deepbioil, 2009

#20 ბუნებრივი წყალშეკრება/საკვანძო დიზაინი (Keyline)

ეს გადაწყვეტილება გულისხმობს ლანდშაფტის ორგანიზებას წვიმის წყლის ეფექტურად შეგროვებისა და ლანდშაფტისა და ნიადაგების მეშვეობით გადანაწილების მიზნით. საკვანძო დიზაინი გულისხმობს ლანდშაფტის დიზაინის გამოყენებას კონტურული ხაზების პარალელურად. მიდგომა მიზნად ისახავს წყლის შენელებას, შეღწევას, შენახვას და გადანაწილებას ლანდშაფტზე.

განხორციელების მასშტაბი

საკვანძო დიზაინის მეთოდი მუშაობს ველის ან ფერმის მასშტაბით. ეს მეთოდი შეეხება ტოპოგრაფიულ მახასიათებელს, რომლებიც დაკავშირებულია ხმელეთზე წყლის ბუნებრივ ნაკადთან. აქედან გამომდინარე, მისი განხორციელება უნდა დაიგეგმოს წყლის ობიექტის მასშტაბით, რათა ზეწოლების პრევენცია და შემცირება მოხდეს.

თანასარგებელი

[M] წყალდიდობების პრევენცია
[H] გვალვის პრევენცია

ასევე წვლილი შეაქვს შემდეგის განხორციელებაში:

[M] ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 წლისთვის
[M] ნიადაგის სტრატეგია 2030 წლისთვის

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
				M			H	M			H

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

საკვანძო დიზაინი არის ფერმის წყლის მართვის ყოვლისმომცველი გეგმა, რომელიც ეყრდნობა ბუნებრივ ლანდშაფტის კონტურებს და კულტივირების ტექნიკას წვიმის წყლის შეკრებისა და ნიადაგის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად. ღონისძიება მოითხოვს ხაზების განსაზღვრას საკვანძო ხაზის ქვევით, ზემოთ დამის პარალელურად. აქედან გამომდინარე, მიწის ფორმა და კონტური განსაზღვრავს ფერმის კაშხლების, სარწყავი ტერიტორიების, გზების, ღობეების, ფერმის შენობებისა და ხეების განლაგებასა და მდებარეობას.

დაინტერესებული მხარეები

- კულტივატორები/ფერმერები
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)
- ადგილობრივი თემები

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება	ჰა
	მიწის იჯარის ხარჯები	ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	საწვავი	ლ

ერთეულის ღირებულების მაგალითები

საკვანძო დიზაინი მოიცავს ქვენიადგის მოხვნას, რაც შეიძლება იყოს მექანიკური ან ხელით, რელიეფის ზედაპირისა და ნიადაგის კლდოვანობიდან გამომდინარე. მცირე ზომის ღრმულები შეიძლება გაკეთდეს ხელით, ხოლო საკვანძო ხაზები მოითხოვს ძრავიანი ტრანსპორტის გამოყენებას, როგორცაა ტრაქტორი.

პრაქტიკული მაგალითები

- [ტყის საძოვრების და საკვანძო ხაზების დიზაინი ლუმ ჰა ფერმაზე, მექსიკა](#)

ტექნიკური რეფერენციები

- საკვანძო ხაზების გეგმა, იომანსი, P.A.
- ლანდშაფტთან დაკავშირებული გამოწვევა: საკვანძო დიზაინის განვითარება და პრაქტიკა, იომანსი, P.A.



© Pixabay, Tbilisi



#21 ნახევრად ხელოვნური ჭაობები და წყლის ობიექტები

ნახევრად ხელოვნური ჭაობები და წყლის ობიექტები ზედაპირული ჩამონადენის შეკრების და შენახვის საშუალებას იძლევა წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანია იცოდეთ ამ მეთოდის ნაკლოვანებების შესახებ წყლის რესურსებზე ზემოქმედების თვალსაზრისით (რაოდენობრივი და ხარისხობრივი ასპექტები), სხვადასხვა დროით მასშტაბებში (ღირებულების ამორტიზაცია, კლიმატის ცვლილების დინამიკა) და სივრცით მასშტაბებში (ფერმიდან ტერიტორიამდე და ჰიდროსისტემამდე, რადგან სტრუქტურების კუმულაციური ეფექტი გაურკვეველი რჩება), და რისკისა და სარგებელის თანაფარდობა, განსაკუთრებით პროექტის არა-მომხმარებლებისთვის და სხვა წყლით მოსარგებლეებისთვის. ასევე იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა ამგვარმა გადაწყვეტამ შეაფერხოს სასოფლო-სამეურნეო სისტემების აუცილებელი ევოლუცია წყლის უფრო რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით კლიმატის ცვლილების კონტექსტში. ნახევრად ხელოვნური ჭაობები და წყლის ობიექტები ზოგჯერ ცუდადაა ადაპტირებული გვალვისა და სოფლის მეურნეობის გამოწვევებისადმი.

განხორციელების მასშტაბი

ნახევრად ხელოვნური ჭაობები და წყლის ობიექტები შეიძლება გავრცელდეს დიდ წყალშემკრებ ტერიტორიებზე და არ არსებობს მაქსიმალური წყალშემკრები ტერიტორია, რომელიც შეზღუდავს მათ გამოყენებას. მიუხედავად ამისა, ჭაობის/წყლის ობიექტის ზომები უნდა იყოს ადაპტირებული სადრენაჟე ზონასთან.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამქვრები	4.3 ცვლილებები
				H							

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

ნახევრად ხელოვნური ჭაობები და წყლის ობიექტები მოითხოვს დიდ მისაღმომ ტერიტორიას, რომელიც შედარებით ბრტყელია და აქვს შესაბამისი ზომის სადრენაჟო წყალშემკრები გააჩნია. მათი დამონტაჟება შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის ტერიტორიაზე (ურბანული, სატყეო, სასოფლო-სამეურნეო და ა.შ.). გასათვალისწინებელია ბუნებრივი მახასიათებლები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას აუზის ფორმირებისთვის ან/და დამატებითი წყალსაცავი ტერიტორიების შესაქმნელად ხელოვნური გამწვანების საჭიროების მინიმუმამდე შესამცირებლად.

დაინტერესებული მხარეები

- კულტივატორები/ფერმერები
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)
- ადგილობრივი თემები

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება	ჰა
	მიწის იჯარის ხარჯები	ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	გათხრისთვის საჭირო მასალა	კვ/ჰა
	საწვავი	ლ
გამოკვლევები და კვლევები	ტექნიკური კვლევები	კვლევა, დღეები

ერთეულის ღირებულების მაგალითები

- სამშენებლო ხარჯები შეესაბამება აუზის/წყალსაცავის მოცულობას და დაახლოებით €44,000/ჰა შეადგენს, ხოლო ტექნიკური ხარჯები დაბალია (დაახლოებით €60/ჰა/წელიწადში). (NWRM)

პრაქტიკული მაგალითები

- საირიგაციო მიზნებში წყლის შეგროვებისა და შენახვის აუზის მოწყობა, მოლდოვა

ტექნიკური რეფერენციები

[EN] NWRM ფაქტების ფურცელი

H: მაღალეფექტური; M: ზომიერად ეფექტური. დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების კატალოგი. ზეწოლის ტიპების, თანასარგებლის და ევროპული პოლიტიკის სინერგიების რანჟირების დეტალები მოცემულია დანართ 1-ში. გაითვალისწინეთ, რომ ეს რანჟირება მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებში გამოყენებული და შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივ დონეზე.



© Sondre Meland, 2016 – Norwegian sedimentation pond – Management of contaminated runoff water: current practice and



#22 ნატანის შემკრები აუზები და საკონტროლო კაშხლები

ნატანის შემკრები აუზები არის დაპროექტებული აუზები, რომლებიც განთავსებულია ტყის თხრილების ქსელებში, რათა შეანელონ წყლის სიჩქარე და გამოიწვიონ შეწონილი მასალების დალექვა. ნატანის შემკრები აუზები ყველაზე ეფექტურია თხრილის მშენებლობისა და მოვლა-პატრონობის, საგზაო სამუშაოებისა და საბოლოო შევსების ეფექტის სამართავად. საკონტროლო კაშხლები არის პატარა კაშხლები, რომლებიც ჩვეულებრივ დამზადებულია ხის სტრუქტურისგან და გამოიყენება ეროზიული ხეობებისა და ხევების კალაპოტის სტაბილიზაციისთვის. ისინი იკავებენ ნალექს და ანელებენ წყლის ნაკადს.

განხორციელების მასშტაბი

ტყის თხრილების ქსელებში ნატანის შემკრები აუზები, როგორც წესი, მცირე ზომის წყალსატევებია. არსებული თხრილის ქსელში ნალექის შემკრები აუზების დაყენება მოითხოვს მთლიანი ლანდშაფტის შედარებით მცირე ფართობს.

ეს ღონისძიება აქტუალურია ყველგან, სადაც მიწის მართვის საქმიანობამ შეიძლება წარმოქმნას ნატანი, რომელიც მოგვიანებით შეიძლება შეიკრიბოს და გადავიდეს ზედაპირულ წყლებში. თუმცა, ნალექის შემკრები აუზების სარგებლიანობა შეიძლება შეიზღუდოს წყლის გაყინვის ტემპერატურის ხანგრძლივი პერიოდების გამო.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
				M	H				M		M

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

ნატანის შემკრები აუზები და საკონტროლო კაშხლები მოითხოვს იმ ტერიტორიის იდენტიფიკაციას, რომელიც შეიძლება საჭიროებდეს ნატანის შეკრებას და წყლის ნაკადის შემცირებას. ნატანის შემკრები აუზები და საკონტროლო კაშხლები მოწყობა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს: ნიადაგის მასალის გათხრას, თხრილების ქსელების შექმნას და ხის კონსტრუქციის აგებას.

დაინტერესებული მხარეები

- ადგილობრივი ხელისუფლება (ქალაქის, რეგიონის)
- ადგილობრივი თემები
- კულტივატორები/ფერმერები
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	მიწის გათხრის და სამშენებლო მასალა	კგ/კა

ერთეულის ღირებულების მაგალითები

- **კაპიტალური ხარჯები:** შედარებით უფრო მაღალი ხარჯები იქნება დაკავშირებული თხრილების ქსელების შექმნასთან, როდესაც ნატანის დამკერი აუზის მოწყობაა საჭირო, რადგან ამოთხრილი მასალის მოცულობა ოდნავ მეტი იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა საჭირო ამ აუზების შექმნა. ([NWRM](#))
- **ტექნიკური მომსახურების ხარჯები:** ტექნიკური მომსახურების ხარჯები დაკავშირებულია ნატანის შემკრები აუზებიდან დანალექის ამოღებასთან. აუზიდან ნალექის ამოხაპვის სიხშირე დამოკიდებული იქნება თხრილებში ნატანის დატვირთვაზე. ([NWRM](#))

პრაქტიკული მაგალითები

- კაშხლები ჯვარბოსელსა და შენახოში, საქართველო 2022 წ. 2022
- თემზე დაფუძნებული მიდგომა ეროზიის კონტროლის სფეროში ეჭენში, აზერბაიჯანი, 2018

ტექნიკური რეფერენციები

[EN] [NWRM](#) ფაქტების ფურცელი

H: მაღალეფექტური; M: ზომიერად ეფექტური. დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების კატალოგი. ზეწოლის ტიპების, თანასარგებლის და ეროვნული პოლიტიკის სინერგიების რანჟირების დეტალები მოცემულია დანართ 1-ში. გაითვალისწინეთ, რომ ეს რანჟირება მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებში ამოყვანილი და შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივ დონეზე.



© SuSanA Secretariat, 2011



#23 ხელოვნურად გაშენებული ჭაობები ჩამდინარე წყლების გასაწმენდად

როდესაც წყალი მიედინება გაშენებულ ჭაობებში, მცენარეების ფესვები და სუბსტრატი შლის ჩამდინარე წყლებში არსებულ უფრო დიდ ნაწილაკებს. ჩამდინარე წყლებში დამაბინძურებლები და საკვები ნივთიერებები ბუნებრივად იშლება და შეიწოვება ბაქტერიებისა და მცენარეების მიერ, რომლებიც აშორებენ მათ წყლიდან.

განხორციელების მასშტაბი

გაშენებული ჭაობები ეფექტურია სამეზობლოებში და ქალაქებში. გაითვალისწინეთ, რომ ქალაქის მასშტაბით ჭაობების გაშენება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ არის საკმარისი თავისუფალი ადგილი ამ Nbs-ების განსახორციელებლად, და სადაც შესაძლებელია საჭირო მიწის შეძენა.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალალბა და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
H	H	H									

თანასარგებელი

[M] ბიომრავალფეროვნება

ასევე წვლილი შეაქვს შემდეგის განხორციელებაში:

[H] ურბანული ნარჩენი წყლების გადამუშავების დირექტივა

[M] ბუნების აღდგენის შესახებ კანონი

[M] ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 წლისთვის

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

გაშენებული ჭაობების დიზაინი ტექნიკურ ცოდნას მოითხოვს. ამ პროცესში გასათვალისწინებელია ორი სახის ფაქტორი: 1) ატმოსფერული ფაქტორები, როგორიცაა მდებარეობა, ადგილობრივი ამინდი, დამაბინძურებლები რომელთა დონე გაშენებულმა ჭაობმა უნდა დაარეგულიროს და ა.შ.; 2) დიზაინის პარამეტრები, როგორიცაა მცენარეები და სუბსტრატების შერჩევა, და გაშენებული ჭაობის კონფიგურაციის ოპტიმიზაცია.

დაინტერესებული მხარეები

- ადგილობრივი ხელისუფლება (ქალაქი, რეგიონი)
- ადგილობრივი თემები
- ფირმები და საწარმოთა ქსელები

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაზანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება მიწის იჯარის ხარჯები	ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა	კგ/ჰა
	სამშენებლო მასალები (ცემენტი, ხრეში, მილები და ა.შ.)	კგ/ჰა, ერთეული
	ნიადაგი	ტონები

ერთეულის ღირებულების მაგალითები

- გაშენებული ჭაობების მშენებლობის ხარჯები შეიძლება დაიყოს შემდეგ კომპონენტებად: გათხრითი სამუშაოები, ლაინერი, მცენარეები, ხრეში, განაწილების და კონტროლის სტრუქტურები და შემოღობვა. FWS-ის მიერ გაშენებული ჭაობების საშუალო ღირებულებაა 58 ათასი აშშ დოლარი/ჰა (მერყეობს 10 ათასი დოლარიდან 150 ათასი აშშ დოლარი/ჰა), ხოლო ზედაპირისქვედა დინების მქონე ჭაობის გაშენების საშუალო ღირებულებაა 388 ათასი აშშ დოლარი/ჰა (მერყეობს 80 ათასიდან 2,000 ათას აშშ დოლარამდე ჰექტარზე/ჰა). (MTE)
- გაშენებული ჭაობების ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები მოიცავს მექანიკური ენერგიის გადატუმბვას, შესაბამისობის მონიტორინგს, კაშხლის ტექნიკურ მომსახურებას და ტექნიკის შეცვლას და შეკეთებას. წლიური ღირებულება სავარაუდოდ მერყეობს 2,5-5 ათასი აშშ დოლარი/ჰა/წელიწადში. (MTE)

პრაქტიკული მაგალითები

- ორქეის ჭარბტენიანი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა ორქეის, მოლდოვა, 2013

ტექნიკური რეფერენციები

[UA] WWF ფაქტების ფურცელი

[EN] Nbs ნარჩენი წყლების გადამუშავება

[EN] ხელოვნური ჭაობი ჩამდინარე წყლების გასაწმენდად



© U.S. Fish and Wildlife Service Headquarters, 2014



#24 ჭაობების აღდგენა და მართვა

ჭაობების აღდგენა და მართვა შეიძლება მოიცავდეს ტექნიკურ, სივრცით ფართომასშტაბიან ღონისძიებებს (მათ შორის, თხრილების დამონტაჟება განმეორებითი დაჭაობებისთვის და თხრილების რაოდენობის შემცირება დატბორვის მიზნით); ტექნიკური მცირემასშტაბიანი ღონისძიებები, როგორცაა ხეების გაჩეხვა; და ცვლილებები მიწათსარგებლობასა და სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებებში, როგორცაა ჭარბტენიან ადგილებში კულტივირების პრაქტიკის ადაპტაცია. ღონისძიებები ასევე მოიცავს ტორფიან მიწების ხელახლა დატენიანებას ჭაობების აღდგენისა და მართვისთვის.

განხორციელების მასშტაბი

ჭაობები ბუნებრივად შეიძლება მდებარეობდეს მდინარის აუზზე ნებისმიერ ადგილას. აღდგენისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებების მასშტაბები განსხვავდება, რადგან აქტივობები შეიძლება მოიცავდეს მცირე ურბანული ჭაობების ან სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ჭაობების გაშენებიდან დაწყებული, ლანდშაფტური მასშტაბით ჭაობების აღდგენით დამთავრებული. ღონისძიებების მასშტაბები მერყეობს 10 ჰა-ზე ნაკლებიდან რამდენიმე ათას ჰექტარამდე. უფრო მცირე ჭარბტენიანი ადგილები ძირითადად ეწყობა სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე, ხოლო უფრო დიდები უფრო ხშირად ეწყობა ტორფიან ადგილებში ან დაბლობი მდინარის ხეობებში.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალალემა და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
			M	M	M	M	M	M	M	M	M

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

ჭაობების აღდგენა და მართვა მოიცავს პრაქტიკის ერთობლიობას, რაც მოიცავს ჭაობების აღდგენას (ყოფილი ჭაობის აღდგენა) ან რეაბილიტაციას (დეგრადირებული ჭაობის ფუნქციების გაუმჯობესება).

დაინტერესებული მხარეები

- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)
- ადგილობრივი თემები
- ფირმები და საწარმოთა ქსელები

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაზღვრებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება	ჰა
	მიწის იჯარის ხარჯები	ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა	კგ/ჰა
	საწვავი	ლ
გამოკვლევები და კვლევები	ტექნიკური/დიზაინის პროექტები	კვლევა
ცნობიერების ამაღლება	დაინტერესებული მხარეები ჩართვა	აქტივობა

პრაქტიკული მაგალითები

- [ორჰეის ჭარბტენიანი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა ორჰეის, მოლდოვა](#), 2010
- [ჭაობების კონსერვაცია და მდგრადი მართვა მდინარე პრუტის აუზში, მოლდოვა](#)
- [ჭარბტენიანი ტერიტორიების აღდგენა მდინარე დნესტრის ქვედაწელში, მოლდოვა](#)
- [ხორ ვირაპის ნაკრძალის აღდგენითი სამუშაოები, სომხეთი](#)

თანასარგებელი

[M] წყალდიდობების პრევენცია

[M] გვალვის პრევენცია

[H] ბიომრავალფეროვნება

[ასევე წვლილი შეაქვს შემდეგის განხორციელებაში:](#)

[H] ჰაბიტატებისა და ფრინველების შესახებ დირექტივა

[M] ნიტრატების შესახებ დირექტივა

[M] ბუნების აღდგენის შესახებ კანონი

[H] ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 წლისთვის

ერთეულის ღირებულების მაგალითები

ჭაობების აღდგენა და მართვა მოიცავს მიწის შესყიდვის ხარჯებს (ევროდან 1,210/ჰა), კვლევებს (16-600 ათასი ევრო/კვლევა), კაპიტალურ ხარჯებს, ტექნიკური მომსახურების ხარჯებს და ცნობიერების ამაღლების აქტივობებს (1 ათასიდან 500 ათასამდე ევრო). ([NWRM](#))

ტექნიკური რეფერენციები

- [EN] [NWRM ფაქტების ფურცელი](#)
- [UA] [WWF ფაქტების ფურცელი](#)



© Luke Bailey, 2012

13

კლიმატის
ჩრდილოეთი



14

წყალქვეშა
რესურსები



#25 ჭალების აღდგენა და მართვა

ჭალების აღდგენის მიზანია მათი ხელახალი დაკავშირება მდინარესთან და სხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც მათი წყლის შეკავების უნარის და ეკოსისტემის ფუნქციების აღდგენის საშუალებას იძლევა.

განხორციელების მასშტაბი

ეს ღონისძიება განკუთვნილია ვრცელ ტერიტორიებზე გამოყენებისთვის, მდინარის თავდაპირველ ჭალის არეალთან მიახლოების მიზნით. ეფექტიანობის მისაღწევად, ეს ღონისძიება უნდა განხორციელდეს წყლის ობიექტის მასშტაბით, ზეწოლის პრევენციისა და შერბილების მიზნით. ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს ეროვნულ პარკებში ან დაცულ ტერიტორიებზე, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს მიწის შესყიდვა აღდგენის ღონისძიებების გასაგრძელებლად.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
			M	M	M	M	M	M	H	H	M

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

ჭალების აღდგენა საჭიროებს ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავენ მათი წყლის შეკავების უნარის და ეკოსისტემის ფუნქციების აღდგენას მდინარესთან მათი ხელახალი მიერთებით. ჭალების აღდგენა მიიღწევა ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა არხის მოდიფიკაცია, მემკვიდრეობით დაგროვებული ნატანის მოცილება, ჭალაში ტბების ან აუზების მოწყობა, ახალი/მოდიფიცირებული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვა [2], ტყის გაშენება [16], ენდემური ბალახის ბუჩქების და ხეების დარგვა, ბალახოვანი აუზების, დაბლობების და ჭაობის შექმნა [24], ინვაზიური სახეობების მოცილება და სანაპირო ბუფერების მონტაჟი და განვითარება [8].

დაინტერესებული მხარეები

- ადგილობრივი ხელისუფლება (ქალაქის, რეგიონის)
- ადგილობრივი თემები
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)
- კულტივატორები/ფერმერები

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება	ჰა
	მიწის იჯარის ხარჯები	ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა	კგ/ჰა
	საწვავი	ლ
	დატერასებისა და მიწის გათხრის მასალა	ერთეული

პრაქტიკული მაგალითები

- მდინარე რიონის ჭალის აღდგენა საქართველოში, 2017 წ.
- ჭარბტენიანი ტერიტორიების აღდგენა მდინარე დნესტრში, მოლდოვა
- უკრაინის დუნაის დელტაში წყლის ნაკადი აღდგენა მთელ ტბის სისტემაში

ერთეულის ღირებულების მაგალითები

- ჭალების აღდგენა და მართვა რიონის აუზში 4, 000 000 ევროზე მეტი დაჯდა. იგი მოიცავდა: ნაპირების დატერასებას, მცენარეული ბუფერების მოწყობას და ხეების დანერგვას მდინარე რიონის აუზთან და იმ ადგილებზე წყალდიდობების რისკის შესამცირებლად, რომელსაც მდინარე გადაკვეთს. მოსაგვარებლად.

ტექნიკური რეფერენციები

[EN] NWRM ფაქტების ფურცელი

H: მაღალეფექტური; M: ზომიერად ეფექტური. დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების კატალოგი. ზეწოლის ტიპების, თანასარგებლის და ევროპული პოლიტიკის სინერგიების რანჟირების დეტალები მოცემულია დანართ 1-ში. გაითვალისწინეთ, რომ ეს რანჟირება მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებში გამოყენებული და შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივ დონეზე.



#26 ნაკადულების და მდინარეების აღდგენა

ამ ტიპის აღდგენა მოიცავს ნაკადულებისა და მდინარეების ჰიდრომორფოლოგიის აღდგენის ღონისძიებებს, როგორიცაა მეანდრირება, კალაპოტის აღდგენა, სეზონური ნაკადების აღდგენა და ერთმანეთთან დაკავშირება და კალაპოტის მასალის აღდგენა.

განხორციელების მასშტაბი

ნაკადულების და მდინარეების აღდგენა დიდწილად დამოკიდებულია კონტექსტზე. ეს ღონისძიება გამოიყენება ნაკადულების და მდინარეების ტერიტორიებზე. იგი უნდა განხორციელდეს წყლის ობიექტის მასშტაბით, რათა ზეწოლების პრევენცია და შემცირება მოხდეს.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
			M	M	M	M	M	M	H	H	M

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

ნაკადულებისა და მდინარეების აღდგენა გულისხმობს ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც მიმართულია დინების პირობების აღდგენაზე (მაგ., წყლის ნაკადის შენელება), ეროზიის შედარებით მცირე პრობლემების გამოსწორებაზე, დანალექების გაუმჯობესებაზე და ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის ფუნქციების გაძლიერებაზე. ნაკადის აღდგენა მიიღწევა ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა ნაკადის მეანდრირება, კალაპოტის აღდგენა, სეზონური ნაკადის აღდგენა და ერთმანეთთან ხელახლა დაკავშირება და კალაპოტის მასალის აღდგენა.

დაინტერესებული მხარეები

- ადგილობრივი ხელისუფლება (ქალაქის, რეგიონის)
- ადგილობრივი თემები
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება	ჰა
	მიწის იჯარის ხარჯები	ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა	კგ/ჰა
	საწვავი	ლ
	დატერასებისა და მიწის გათხრის მასალა	ერთეული

პრაქტიკული მაგალითები

- ჭარბტენიანი ტერიტორიების აღდგენა მდინარე დნესტრში, მოლდოვა
- მდინარეების სანაპირო ტერიტორიების აღდგენა, სომხეთი
- სანაპირო ზონების აღდგენა, სომხეთი

ერთეულის ღირებულების მაგალითები

- მდინარის ხელახალი მეანდრირების კაპიტალური ხარჯები შეფასებულია 400,000 ევრო/კმ. გასათვალისწინებელია ბუნებრივი ტერიტორიების მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის ხარჯები ([NWRM](#)).

ტექნიკური რეფერენციები

[EN] [NWRM](#) ფაქტების ფურცელი N03-დან N06, N08-მდე



© LiliaCurchi, 2015



#27 ნაკალაპოტარის შედეგად წარმოქმნილი რკალისებური ტბების ხელახალი შეერთება

ნაკალაპოტარის შედეგად წარმოქმნილი რკალისებური ტბა არის უძველესი მეანდრი, რომელიც მოწყვეტილი იყო მდინარისგან, რითაც შეიქმნა პატარა რკალისებური ფორმის ტბა. ასეთი ტბის მდინარესთან შეერთება გულისხმობს ორ წყლის ობიექტს შორის არსებული ხმელეთის მიწების ამოღებას. ეს გამოიწვევს მდინარის საერთო ფუნქციონირების გაუმჯობესებას ლატერალური კავშირის აღდგენით, ნაკადების დივერსიფიკაციისა და არსებული რკალისებური ტბის მონაკვეთის გაწმენდით. ამის შედეგად ასევე უზრუნველდება წყალდიდობის დროს წყლის შეკავება.

განხორციელების მასშტაბი

ეს ღონისძიება გამოიყენება ქალის ტერიტორიებზე, სადაც ასეთი ტბები და მსგავსი მახასიათებლებია წარმოდგენილი. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ არსებული ნაკალაპოტარი ტბის ფართობი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. გაითვალისწინეთ, რომ მნიშვნელოვანი სივრცის საჭიროება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოფილი ტბის შიგნით მიწათსარგებლობა უკვე გარდაიქმნება სოფლის მეურნეობად, სატყეო მეურნეობად და ა.შ.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
									H	H	M

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

რკალისებური ფორმის ტბების ხელახალი შეერთება შეიძლება განსხვავებული სახით მოხდეს, ანუ სრულიად ღია შეერთების ან შემომაგალი და გამავალი ნაკადების ობიექტების სისტემის შექმნის გზით (შლუზები, რომლებიც მდებარეობენ კაშხალზე/ნაყარ დამბაზე). თუ შემოთავაზებული გადაწყვეტილება გულისხმობს კაშხლის ან დამბის მოწყობას, აუცილებელია წყალდიდობის მართვის მოთხოვნები სათანადოდ გათვალისწინება, მათ შორის, მიმდებარე ტერიტორიების წყალდიდობისგან დაცვის საჭიროების ჩათვლით. ძველ მეანდრში მიწათსარგებლობის ან მიწის საკუთრების სახეების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართვა.

დაინტერესებული მხარეები

- ადგილობრივი ხელისუფლება (ქალაქის, რეგიონის)
- ადგილობრივი თემები
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონსერვაციისა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება	ჰა
	მიწის იჯარის ხარჯები	ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა	კგ/ჰა
	საწვავი	ლ
	დატერასებისა და მიწის გათხრის მასალა	ერთეული
გამოკვლევები და კვლევები	ტექნიკური კვლევები	კვლევა, დღეები

ერთეულის ღირებულების მაგალითები

- ნაკალაპოტარი ტბების ხელახალი შეერთება მოიცავს შემდეგ ხარჯებს: მიწის შესყიდვა (€0-60k); გამოკვლევები და კვლევები (€0-100 ათასი); კაპიტალური ხარჯები (€100k-2000k); ტექნიკური ხარჯები (€10k-1000k) ([NWRM](#)).

პრაქტიკული მაგალითები

- [უკრაინის დუნაის დელტაში წყლის ნაკადი აღდგენა მთელ ტბის სისტემაში](#)
- [მდინარე ლატოვიკას ქალის ხელახალი დაკავშირების ტრანსსასაზღვრო პროექტი, უკრაინა](#)

ტექნიკური რეფერენციები

[EN] [NWRM ფაქტების ფურცელი](#)

H: მაღალეფექტური; M: ზომიერად ეფექტური. დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების კატალოგი. ზეწოლის ტიპების, თანასარგებლის და ევროპული პოლიტიკის სინერგიების რანჟირების დეტალები მოცემულია დანართ 1-ში. გაითვალისწინეთ, რომ ეს რანჟირება მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებში ამოყვანილი და შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივ დონეზე.



© U.S. Army Corps of Engineers Nashville District, 2017



#28 განივი ბარიერების მოხსნა

კაშხლებისა და სხვა განივი ბარიერების მოხსნა გულისხმობს ყველა დაბრკოლების მოხსნას, მდინარის ფერდობისა და გრძივი პროფილის აღდგენას და მდინარის დინამიკის, აგრეთვე დანალექის და ეკოლოგიური უწყვეტობის აღდგენას.

განხორციელების მასშტაბი

ეს ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ წყალის ობიექტზე, სადაც აგებულია კაშხლები, წყალგადამშვები კაშხლები და სხვა გრძივი ბარიერები.

თანასარგებელი

[M] წყალდიდობების პრევენცია
[H] ბიომრავალფეროვნება

ასევე წვლილი შეაქვს შემდეგის განხორციელებაში:

[H] ჰაბიტატებისა და ფრინველების შესახებ დირექტივა
[M] ბუნების აღდგენის შესახებ კანონი
[H] ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 წლისთვის

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალდება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
									H	H	

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

განივი ბარიერების მოხსნა მოიცავს მეთოდების ფართო სპექტრს, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს უბნის სპეციფიკის, არსებული კაშხლებისა და წყალგადამშვები კაშხლების რაოდენობისა და ზომების მიხედვით. თუ არსებობს კაშხლის უკან დაბინძურებული ნატანის მნიშვნელოვანი რაოდენობით დაგროვების მტკიცებულება, რეკომენდირებულია მისი ამოღება და უსაფრთხოდ განადგურება ბარიერის დემონტაჟამდე.

დაინტერესებული მხარეები

- ადგილობრივი ხელისუფლება (ქალაქის, რეგიონის)
- ადგილობრივი თემები
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება	ჰა
	მიწის იჯარის ხარჯები	ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა	კგ/ჰა
	საწვავი	ლ
	დატერასებისა და მიწის გათხრის მასალა	ერთეული
გამოკვლევები და კვლევები	ტექნიკური კვლევები	კვლევა, დღეები

ერთეულის ღირებულების მაგალითები

- უკრაინაში ბაიურიკას კაშხლის დანგრევა დაახლოებით 42,5 მილიონი ევრო დაჯდა მდინარე პერკალაბას გასათავისუფლებლად, და ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატური მედეგობის გასაუმჯობესებლად ([WWF, 2022](#)).

პრაქტიკული მაგალითები

- [მდინარე პერკალაბას აღდგენა კაშხლის დემონტაჟის გზით, უკრაინა](#)
- [უკრაინის დუნაის დელტაში რამდენიმე კაშხლის დემონტაჟი](#)

ტექნიკური რეფერენციები

[EN] [NWRM ფაქტების ფურცელი](#)



© Aaron Volkening, 2022



#29 ბუნებრივი ნაპირის სტაბილიზაცია

მდინარის ნაპირის აღდგენა გულისხმობს მდინარის ეკოლოგიური კომპონენტების აღდგენას, რითაც ზარალის განეიტრალება და განსაკუთრებით კი, ნაპირების სტაბილიზაცია მიიღწევა, რაც მდინარეს უფრო თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს. სასურველია ბუნებაზე დაფუძნებული ისეთი გადაწყვეტილებების გამოყენება, როგორიცაა ბიოინჟინერია, მაგრამ სამოქალაქო მშენებლობა უნდა იქნას გამოყენებული ძლიერი ჰიდროლოგიური შეზღუდვების შემთხვევაში.

განხორციელების მასშტაბი

თეორიულად, მოცემული ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერ მდინარეზე ხელოვნური ნაპირის გამაგრებით, ამდენად, სხვადასხვა წყალშემკრებ ზონებში და მდინარეებზე, რომლებიც მიედინება მიწაზე, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი დანიშნულებით. საჭირო სივრცე დამოკიდებულია მდინარის ნაპირის სიგრძეზე, რომელიც საჭიროებს აღდგენას.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალდება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
									M	M	

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

ბუნებრივი ნაპირის სტაბილიზაცია მოიცავს მეთოდების ფართო სპექტრს, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს მდინარის სიდიდის, ტოპოგრაფიისა და ადგილობრივი კონტექსტის მიხედვით. ეს მოიცავს მდინარის ნაპირების სტაბილიზაციას მდინარის სტრუქტურისა და ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე ბიომრავალფეროვნების გაზრდის მიზნით.

დაინტერესებული მხარეები

- ადგილობრივი ხელისუფლება (ქალაქის, რეგიონის)
- ადგილობრივი თემები
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაზანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება	ჰა
	მიწის იჯარის ხარჯები	ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა	კგ/ჰა
	საწვავი	ლ
	დატერასებისა და მიწის გათხრის მასალა	ერთეული, კგ/ჰა
გამოკვლევები და კვლევები	ტექნიკური კვლევები	კვლევა, დღეები

პრაქტიკული მაგალითები

ინფორმაცია ჯერ არ არის მოძიებული. დასამატებელია.

ერთეულის ღირებულების მაგალითები

- ნავარაუდევია, რომ ბუნებრივი ნაპირის სტაბილიზაცია უფრო იაფია, ვიდრე სამოქალაქო მშენებლობა.

ტექნიკური რეფერენციები

[EN] [NWRM ფაქტების ფურცელი](#)



© USFWS – Pacific Region, 2011

#30 განივი ბარიერების მოხსნა

ეს ტექნიკა გულისხმობს ნაპირსამაგრის ზოგიერთი ნაწილის, განსაკუთრებით ინერტული ნაწილების ამოღებას, მდინარის გვერდითი კავშირების გასაძლიერებლად, ნაკადების (სიღრმე, სუბსტრატის და სიჩქარე) და ჰაბიტატების დივერსიფიკაციისთვის, და ძირითად კალაპოტში წყალდიდობების რისკის შემცირებას.

გვერდითი ბარიერების მოხსნა არის მრავალი სხვა ღონისძიების წინაპირობა, როგორცაა [\[26\] ხელახალი მეანდრიერება ან გაფართოება](#), ასევე არხის მიგრაციისა და დინამიკის დაწყებამდე.

განხორციელების მასშტაბი

ეს ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი სახის მდინარეზე, რომლის ნაპირები მოდიფიცირებულია ნაგებობებით, რომლებიც განკუთვნილია მდინარის სანაპიროს დასაცავად და მდინარის დინების შესაცვლელად. ეს შეიძლება პოტენციურად აქტუალური იყოს მდინარის მიმდებარე ტერიტორიებზე, სადაც ნებისმიერი სახის მიწათსარგებლობა ხორციელდება. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს ხელოვნურ ზედაპირებს, განსაკუთრებით იქ, სადაც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები არსებობს. იგი ძირითადად ხორციელდება წყალშემკრების ქვედა დინების მიდამოებში, სადაც ბუნებრივი ჭალის ფართობია, მაგრამ ეს შეიძლება გაკეთდეს იქ, სადაც ნაპირის დამცავი კონსტრუქციები არსებობს.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
									H	H	

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

მდინარის ნაპირსამაგრის ამოღება მოიცავს მეთოდების ფართო სპექტრს, რომლებიც განსხვავდება მდინარის სიდიდის, ტოპოგრაფიისა და ადგილობრივი კონტექსტის მიხედვით. იგი მოიცავს ნაპირსამაგრის ზოგიერთი ნაწილის მოხსნას მდინარის სტრუქტურისა და ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად.

დაინტერესებული მხარეები

- ადგილობრივი ხელისუფლება (ქალაქის, რეგიონის)
- ადგილობრივი თემები
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაზღვრელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება	ჰა
	მიწის იჯარის ხარჯები	ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა	კგ/ჰა
	საწვავი	ლ
	დატერასებისა და მიწის გათხრის მასალა	ერთეული, კგ/ჰა
გამოკვლევები და კვლევები	ტექნიკური კვლევები	კვლევა, დღეები

ერთეულის ღირებულების მაგალითები

ინფორმაცია ჯერ არ არის მოძიებული. დასამატებელია.

პრაქტიკული მაგალითები

- [ახალი მდინარის ნაპირი ჰაინბურგში, დუნაის ჭალის რაიონში, ავსტრია](#)

ტექნიკური რეფერენციები

[EN] [NWRM ფაქტების ფურცელი](#)

H: მაღალეფექტური; M: ზომიერად ეფექტური. დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების კატალოგი. ზეწოლის ტიპების, თანასარგებლის და ეროვნული პოლიტიკის სინერგიების რანჟირების დეტალები მოცემულია დანართ 1-ში. გაითვალისწინეთ, რომ ეს რანჟირება მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებში ამოყვანილი და შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივ დონეზე.



© Jelger Groeneveld, 2018

#31 ტბების აღდგენა

ტბების აღდგენა ნიშნავს მათი სტრუქტურისა და ფუნქციის გაუმჯობესებას, იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი წარსულში დამზრალი იყო.

განხორციელების მასშტაბი

ტბების და მიმდებარე ტერიტორიების (ჭარბტენიანი ადგილები, ჭაობები, ღობეები, ჭალები, აგრეთვე ტყეები და სასოფლო-სამეურნეო მიწები) აღდგენა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ადგილას, სადა არსებობს (ამჟამინდელი ან ყოფილი) ტბა. საჭირო სივრცე დამოკიდებულია ტბის სიდიდეზე, ტოპოგრაფიაზე და ჩამდინარე მდინარეებსა და ნაკადებზე. ეს ღონისძიება უნდა განხორციელდეს წყლის ობიექტის მასშტაბით ზეწოლის პრევენციისა და შემცირებისთვის.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
									H	M	M

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

ტბების აღდგენა მოიცავს მეთოდების ფართო სპექტრს, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს ტბის ზომის, ტოპოგრაფიისა და ადგილობრივი კონტექსტის მიხედვით. იგი მიზნად ისახავს ტბების სტრუქტურისა და ფუნქციონირების გაუმჯობესებას.

დაინტერესებული მხარეები

- ადგილობრივი ხელისუფლება (ქალაქის, რეგიონის)
- ადგილობრივი თემები
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კონსერვაციისა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაზანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	შესყიდვის ღირებულება	ჰა
	მიწის იჯარის ხარჯები	ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეულები
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა	კგ/ჰა
	დატერასებისა და მიწის გათხრის მასალა	ერთეული, კგ/ჰა
	საწვავი	ლ
გამოკვეთვები და კვლევები	ტექნიკური კვლევები	კვლევა, დღეები

პრაქტიკული მაგალითები

- უკრაინის დუნაის დელტაში წყლის ნაკადი აღდგა მთელ ტბის სისტემაში
- სომხეთის სევანის ტბის განვითარების გრძელვადიანი ეროვნული ხედვა

თანასარგებელი

- [M] გვალვის პრევენცია
- [H] ბიომრავალფეროვნება

ასევე წვლილი შეაქვს შემდეგის განხორციელებას:

[H] ჰაბიტატებისა და ფრინველების შესახებ დირექტივა

[M] ბუნების აღდგენის შესახებ კანონი

[M] ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 წლისთვის

ერთეულის ღირებულების მაგალითები

- კროქელის ტბის ბუნებრივ ნაკრძალში ჰაბიტატის აღდგენა დაახლოებით 4000 ევრო/ჰა დაჯდა. ვინაიდან ამ ტბებს აქვთ გრძელი სიცოცხლის ხანგრძლივობა, ექსპლუატაციის შემდეგ ტექნიკური ხარჯები მინიმალურია. ([NWRM](#))

ტექნიკური რეფერენციები

[EN] [NWRM](#) ფაქტების ფურცელი

H: მაღალეფექტური; M: ზომიერად ეფექტური. დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების კატალოგი. ზეწოლის ტიპების, თანასარგებლის და ევროპული პოლიტიკის სინერგიების რანჟირების დეტალები მოცემულია დანართ 1-ში. გაითვალისწინეთ, რომ ეს რანჟირება მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებში ამოყვანილი და შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივ დონეზე.



#32 პოლდერის ტერიტორიების აღდგენა

პოლდერის (დამშრალი არეები) ტერიტორიების აღდგენა გულისხმობს პოლდერების გაძლიერებას სუბ-ბუნებრივი მახასიათებლებით, რაც პოლდერის შიგნით არსებულ მდინარეებში წყლის უკეთ შეკავების და ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესების საშუალებას იძლევა.

განხორციელების მასშტაბი

ეს ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი სახის პოლდერულ ზონაში, სადაც ბუნებრივი მახასიათებლების გაუმჯობესებაა საჭირო. წარსულში, პოლდერები ვითარდებოდა დიდი მდინარეების ქვემოწელში, რომლებსაც ზემოწელში დიდი წყალშემკრები აქვთ, სადაც სასურველი იყო წყალმოვარდნის აკუმულირების მაღალი შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, ეს, სავარაუდოდ, აქტუალური იქნება ძირითადი მდინარის წყალშემკრები აუზის ქვემოწელში.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალდება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
									H	H	M

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

პოლდერის აღდგენა მოიცავს მეთოდების ფართო სპექტრს, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს პოლდერის არეალის ზომის, ტოპოგრაფიისა და ადგილობრივი კონტექსტის მიხედვით. ეს იწვევს წყლის შენახვის, ველური ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესებას.

დანიშნულებები

- ადგილობრივი ხელისუფლება (ქალაქის, რეგიონის)
- ადგილობრივი თემები
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა	კგ/კა

ერთეულის ღირებულების მაგალითები

ინფორმაცია ჯერ არ არის მოძიებული. დასამატებელია.

პრაქტიკული მაგალითები

- ყოფილი პოლდერების და ველური ბუნების აღდგენა დუნაის დელტაში, უკრაინა და მოლდოვა

ტექნიკური რეფერენციები

[EN] NWRM ფაქტების ფურცელი



© National Agroforestry Center, 2016

#33 ბუფერული ზოლების, სანაპირო ტყეების და ჭაღის ტყეების აღდგენა

სანაპირო ბუფერები არის ტყიანი ადგილები ნაკადულებისა და სხვა წყლის ობიექტების გასწვრივ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველაზე ხშირად ასოცირდება ხე-ტყის მოჭრის შედეგად დარჩენილ ხეების ზოლებთან, სანაპირო ბუფერები ასევე შეიძლება ქალაქებში, სასოფლო-სამეურნეო და ჭაობიან ადგილებში არსებობდნენ. ღია წყლის მიმდებარედ შედარებით ხელუხლებელი ტერიტორიის შენარჩუნებით, სანაპირო ბუფერებს შეუძლიათ შეასრულონ რამდენიმე ფუნქცია, რომლებიც დაკავშირებულია წყლის ხარისხთან და ნაკადის რეგულირებასთან. ზღვისპირა რაიონებში ხეებს შეუძლიათ ეფექტურად აითვისონ ზედმეტი საკვები ნივთიერებები და ხელს უწყობდნენ ინფილტრაციის გაუმჯობესებას. სანაპირო ბუფერები ემსახურება წყლის შენელებას როდესაც იგი ხმელეთიდან უკან მიედინება. ამან შეიძლება შეამციროს დანალექები ზედაპირულ წყლებში.

განხორციელების მასშტაბი

სანაპირო ბუფერები ყველაზე ეფექტურია მცირე სივრცითი მასშტაბით და, როგორც წესი, განლაგებულია ნაკადის ორივე მხარეს ხელუხლებელ ტყეებში, ტყეებში სადაც მერქნის ჭრა მიმდინარეობს, ან სასოფლო-სამეურნეო ზონებში. ბუფერების მოწყობა ხორციელდება ფერმის მასშტაბით ან წყლის აუზის მასშტაბით, და მათ ფიქსირებული სიგანე აქვთ, ანუ, 2-დან 50+ მ-მდე. ბუფერის სიგანე ასევე შეიძლება განისაზღვროს წყლის ობიექტის სიგრძის ან ზომის მიხედვით.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სანიაღვრე წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
			M	M	M	M			H	M	M

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

სანაპირო ბუფერების შექმნა ან კონსერვაცია შესაძლებელია ხელოვნური საფარის მქონე ადგილებში ან სასოფლო-სამეურნეო ადგილებში. სატყეო მეურნეობის კონტექსტში, სანაპირო ბუფერები არის მიწის ნაკვეთები ნაკადულების, მდინარეების ან ტბების მიმდებარედ, რომლებიც არ ხელშეუხებელი რჩება ხე-ტყის მოჭრის შემდეგ.

დაინტერესებული მხარეები

- ეროვნული სატყეო ადმინისტრაცია
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები)
- მეტყვეები
- კულტივატორები/ფერმერები
- ადგილობრივი თემები

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაზღვრებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	მიწის ოჯარის ხარჯები	ჰა
სამუშაო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/შენახვა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სარგავი მასალა	კგ/ჰა
	საწვავი	ლ

პრაქტიკული მაგალითები

- მდინარე რიონის ჭაღის აღდგენა საქართველოში, 2017
- მდინარისპირა ზონების აღდგენა სომხეთში, 2021
- ჭარბტენიანი ტერიტორიების კონსერვაცია მდინარე დნესტრის აუზში, მოლდოვა

ერთეულის ღირებულების მაგალითები

როგორც წესი, მიწის შესწყიდვა ტყის სანაპირო ბუფერებისთვის არ ხდება, რადგან ის ჩვეულებრივ კვლავინს ფერმერს ან ტყის მესაკუთრეს, რომელიც მართავს მიმდებარე მიწებს. ბუფერის მოწყობამდე არ არის საჭირო კვლევების ჩატარება, და ხეების დარგვის გარდა სხვა კაპიტალური ხარჯები დაბალია. მოვლა-პატრონობის ხარჯები დაბალია. ძირითადი ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ტყის სანაპირო ბუფერებთან, არის დაკარგული შემოსავალი, რომელიც დაკავშირებულია მიწასთან, რომელიც ვერ გამოიყენება სატყეო ან სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის.

ტექნიკური რეფერენციები

- [EN] [NWRM ფაქტების ფურცელი F1](#)
- [EN] [სანაპირო ბუფერის აღდგენა](#)
- [EN] [NBS სატყეო, წყლის და სოფლის მეურნეობის სფეროების აღდგენისთვის უკრაინაში](#)

H: მაღალეფექტური; M: ზომიერად ეფექტური. დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების კატალოგი. ზეწოლის ტიპების, თანასარგებლის და ევროპული პოლიტიკის სინერგიების რანჟირების დეტალები მოცემულია დანართ 1-ში. გაითვალისწინეთ, რომ ეს რანჟირება მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებში ამოყვანილი და შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივ დონეზე.



#34 წყალშემცველი ჰორიზონტის შევსების მართვა

ეს გადაწყვეტილება არის მიწისქვეშა წყლების შევსების ხელშეწყობის პროცესი მათი შემდგომი აღდგენის ან გარემოსდაცვითი სარგებლისთვის.

წყალშემცველი ჰორიზონტის შევსების მართვა ეფექტური ადაპტაციის ღონისძიებაა, რომელიც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებისა და ჰიდროლოგიური ცვალებადობის შემცირებას. ამ ღონისძიებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ჭარბი წყალაღების კონტროლსა და მიწისქვეშა წყლების ბალანსის აღდგენაში.

განხორციელების მასშტაბი

ეს მიდგომა აქტუალურია მხოლოდ იქ, სადაც არსებული მყარი გეოლოგია წყალგამტარია, ანუ იქ სადაც არის წყალშემცველი ჰორიზონტი. აუცილებელია ამ მიდგომის განხორციელების დაგეგმვა წყლის ობიექტის მასშტაბით, რათა ზეწოლების პრევენცია და შემცირება მოხდეს.

ზეწოლის ეფექტიანობა

დაბინძურების წერტილოვანი წყარო			დაბინძურების დიფუზიური წყარო				წყალაღება და ნაკადის გადამისამართება		ჰიდრომორფოლოგია		
1.1 ურბანული ნარჩენი წყლები	1.2 სასაინჟინრო წყალსატარები	1.3 და 1.4 IED და არა IED დანადგარები	2.1 ურბანული ჩამდინარე წყლები	2.2 სოფლის მეურნეობა	2.3 მეტყვეობა	2.4-დან 2.10-მდე: სხვა	3.1 სოფლის მეურნეობა	3.2-დან 3.7-მდე: სხვა	4.1 არხების ფიზიკური ცვლილებები	4.2 კაშხლები, ბარიერები და ჩამკეტები	4.3 ცვლილებები
							H	H			H

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება

არსებობს მთელი რიგი ტექნიკები, რომლებიც გამოიყენება წყალშემცველი ჰორიზონტის შევსების მიზნით, წყლის ინფილტრაციით (დატბორვა, თხრილები, ჭარბი ირიგაცია, მდინარის/ტბის ნაპირის ფილტრაცია, ჭის და ჭაბურღილის შევსება) ან წყლის შეკავების გზით (ზედაპირისქვეშა კაშხლები, ქვიშის კაშხლები, ჩამონადენის შეკრება, თხრილები). ყველაზე შესაფერისი მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია ადგილობრივ ჰიდროგეოლოგიურ პირობებზე. ინფილტრაციის არჩეული მიდგომიდან და წყლის წყაროდან გამომდინარე, შეიძლება საჭირო გახდეს წყლის წინასწარი დამუშავება, რათა თავიდან იქნას აცილებული მიწისქვეშა წყლების დაბინძურება. წარმატებული განხორციელების უზრუნველსაყოფად უნდა განხორციელდეს ტექნიკური კვლევები, რათა განისაზღვროს მიზნები და მეთოდოლოგია.

დაინტერესებული მხარეები

- წყლის რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოები
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონსერვაციასა და დაცულ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, სატყეო ადმინისტრაციები) ადგილობრივი თემები
- მეცნიერები და მკვლევარები ჰიდროგეოლოგიის დარგში
- ფირმები და საწარმოთა ქსელი

ხარჯების გაანგარიშება

ხარჯების კატეგორია	დასაბანდებელი რესურსი	საზომი ერთეული
მიწა	მიწის ოჯარის ხარჯები	ჰა
საშუალო ძალა	განხორციელება/შენახვა	კაცდღე
ტექნიკა	განხორციელება/მოვლა-პატრონობა	დღეები, ერთეული
სახარჯი მასალა	სამშენებლო მასალები	კგ/ჰა, ერთეული
	საწვავი	ლ
გამოკვლევები და კვლევები	ტექნიკური/დინამიკის პროექტები	კვლევა
ცნობიერების ამაღლება	დაინტერესებული მხარეების ჩართვა	აქტივობა

ერთეულის ღირებულების მაგალითები

სასომხეთის არარატის არტეზიული აუზის ხელოვნური შევსება 2-3 მილიონ აშშ დოლარზე ნაკლები დაჯდა (0,05-0,075 აშშ დოლარი/მ3), რაც გულისხმობდა ნაგებობის მშენებლობას მიწისქვეშა აუზში წელიწადში 40 მილიონი მ³ წყლის გადატუმბვისთვის (წყალმომღები, მილსადენი, ჭაბურღილების გაწმენდა). ეს გადაწყვეტილება უფრო იაფი იყო ვიდრე ახალი 40 მილიონი მ³ წყალსაცავის მშენებლობის, მისი წლიური მოვლა-პატრონობისა და მოხმარების წერტილამდე ტრანსპორტირების კაპიტალური ხარჯები (30-250 მილიონი აშშ დოლარი, ანუ 5,75-6,25 აშშ დოლარი/მ³). (სასომხეთი, 2022)

პრაქტიკული მაგალითები

- წყალშემცველი ჰორიზონტის შევსების მართვა: 28 პრაქტიკული მაგალითები მთელი მსოფლიოდან, 2021
- მთელ მსოფლიოში არსებული მართული წყალსატევების შევსების სქემების გლობალური ინვენტარიზაცია
- მიწისქვეშა აუზების წყლის რეზერვების აღდგენის თავისებურებები, სომხეთი

ტექნიკური რეფერენციები

[EN] NWRM ფაქტების ფურცელი

H: მაღალეფექტური; M: ზომიერად ეფექტური. დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების კატალოგი. ზეწოლის ტიპების, თანასარგებლის და ეროვნული პოლიტიკის სინერგიების რანჟირების დეტალები მოცემულია დანართ 1-ში. გაითვალისწინეთ, რომ ეს რანჟირება მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებში ამოყვანილი და შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივ დონეზე.

5. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების განხორციელება მდინარეთა აუზების მართვის გეგმების კონტექსტში

მდინარეთა აუზების მართვის გეგმების (RBMP) განხორციელების მიზანია სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკასა და უკრაინაში წყლის ობიექტების კარგი ხარისხობრივი და რაოდენობრივი სტატუსის მიღწევა. RBMP მოიცავს მთელ რიგ დოკუმენტებს, მათ შორის ღონისძიებების პროგრამას, რომელიც განსაზღვრავს აუზში განსახორციელებელ ქმედებებს უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მყოფი წყლის ობიექტების გაუმჯობესების მიზნით. RBMP-ის ღონისძიებების პროგრამაში ჩასართავ ზომებს შორის აქტუალურია ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები (NbS), რადგან ისინი ერთდროულად მიმართულია საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრაზე და ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაზე.

5.1. განხორციელების მეთოდები და სტანდარტები

ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად, რომლებიც გათვალისწინებულია ღონისძიებების პროგრამაში RBMPs-ის კონტექსტში, აუცილებელია სათანადო ყურადღების მიქცევა განხორციელების გზებზე. NbS-ის საღი განხორციელება შემდეგ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს:

- იმ ზეწოლების მკაფიო იდენტიფიცირება, რომელიც დამლეული უნდა იქნას შესაბამისი გადაწყვეტილებების გამოყენების გზით. [მე-3 ნაწილში](#) წარმოდგენილი შერჩევის ინსტრუმენტი ზოგად ინფორმაციას იძლევა, მაგრამ შემდგომი სავსე კვლევები საჭირო იმისთვის, რომ სიღრმისეულად იქნას გაგებული გადასაჭრელი ზეწოლები.
- შესაბამისი სივრცითი დიზაინი, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. კიდევ ერთი გადამწყვეტი ელემენტია ადაპტირებული მასშტაბით გადაწყვეტილებას და ეკონომიკას, საზოგადოებასა და ეკოსისტემებს შორის ურთიერთქმედებისა და შესაძლო შედეგების გათვალისწინება.
- გადაწყვეტილების გარემოსდაცვითი მდგრადობის, სოციალური თანასწორობის და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინება, რათა თავიდან იქნას აცილებული პროექტის სირთულეები მისი ზემოქმედების არეში მცხოვრები მოსახლეობის და დაინტერესებული მხარეების მიერ პროექტის გათავისების ნაკლებობის გამო.
- ბალანსის დამყარება სასურველი შედეგების მიღწევასა და გადაწყვეტილების უფრო ფართო სარგებლისა და ზემოქმედების გათვალისწინებას შორის, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადაპტაციური მართვის მიდგომა, რათა უზრუნველყოფილი იქნას რეაგირება გაურკვევლობაზე და მოულოდნელ სოციალურ, ეკონომიკურ ან კლიმატურ მოვლენებზე.

- უკუკავშირის გაზიარება და გავრცელება, მათ შორის მონიტორინგისა და გადაწყვეტილების ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ეფექტებზე გაზომვის მონაცემების გაზიარება, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების განხორციელების სფეროში ცოდნისა და გამოცდილების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად.

ჩანართი 8. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების განხორციელების ინსტრუმენტები

- IUCN-ის გლობალური სტანდარტი

IUCN გლობალური სტანდარტი იძლევა ლოგიკურ ჩარჩოს ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების შემუშავებისა და მათი განხორციელების დაგეგმვისთვის. ის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას უკვე დანერგილი გადაწყვეტილებების დიზაინის შესაფასებლად. სტანდარტი ეფუძნება რვა კრიტერიუმს და 28 ინდიკატორს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სტანდარტი ძალიან ამბიციურია, იგი ასევე ძალზე სასარგებლოა, რადგან ის იძლევა ფართო ხედვას იმის შესახებ, თუ რა არის გასათვალისწინებელი ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების წარმატების გარანტირებისთვის.

[IUCN-ის გლობალური სტანდარტი ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისთვის: პირველი გამოცემა 2020. გვ. 21](#)

[IUCN-ის ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების გლობალური სტანდარტის გამოყენების სახელმძღვანელო: პირველი გამოცემა, 2020 წ. გვ. 62](#)

- ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების IWRM -ის ინსტრუმენტი

გლობალური წყლის პარტნიორობის მიერ შემუშავებული ეს ინსტრუმენტი უზრუნველყოფს NbS-ის ეფექტური განხორციელების ძირითად ელემენტებს, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების შესახებ სხვა ინფორმაციასთან ერთად.

[ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები IWRM ინსტრუმენტებში, ონლაინ](#)

- NATURVATION-ის სახელმძღვანელო მითითებები

ამ ანგარიშში ირინა ჰერბი და კრისტიან გერსტეტერი ეკოლოგიური ინსტიტუტიდან, და ასევე ალექსანდრე მატეი (ICLEI), წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს წვლილი შეიტანონ მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევაში, რომლებიც განსაზღვრულია 2030 წლის დღის წესრიგში, და რეკომენდაციას უწევენ ამ გადაწყვეტილებების განხორციელების რამდენიმე გზას. ისინი გამოყოფენ ხუთ მიმართულებას და შესაბამის გადაწყვეტილებებს (ქმედებებს) იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს წვლილი შეიტანონ SDG-ების მიღწევაში და ჩართული იყვნენ პროექტებში. ეს მიმართულებები მოიცავს დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის ჩართვას, ადგილობრივ დონეზე გაძლიერებას, მდგრადობის მთელი რიგი მიზნების მიღწევის ხელშეწყობას, და იმავდროულად, ინტეგრირებული მდგრადი განვითარების ინსტიტუციური მექანიზმების შექმნას და მდგრადი ურბანული ტრანსფორმაციის მონიტორინგსა და შეფასებას.

[ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მენისტრიმინგი: მდგრადი განვითარების მიზნები](#)

ჩანართი 9. რეკომენდაციები ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების განხორციელებისთვის

OECD-ის მე-11 „მრგვალი მაგიდის“ წყლის დაფინანსების შესახებ გამართული დისკუსიების განმავლობაში ხაზგასმით აღინიშნა ყოვლისმომცველი მიდგომის მიღების აუცილებლობა, რომელიც წვლილს შეიტანს ფინანსური, მარეგულირებელი და ოპერაციული გამოწვევების გადაჭრაში, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების უფრო ფართოდ დანერგვასა და განხორციელებასთან. ამ გამოწვევების სათანადო გააზრებისა და კონკრეტულ კონტექსტს მორგებული გადაწყვეტილებების განხორციელებით, ადმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შეუძლიათ ეფექტურად მოახდინონ NbS-ის ინტეგრირება წყლის მართვის სტრატეგიებში, რაც სარგებელს მოუტანს როგორც გარემოს, ასევე საზოგადოებას. ზოგიერთი ძირითადი რეკომენდაცია, რომელიც დისკუსიის შედეგად შემუშავდა, შემდეგს მოიცავდა:

- 1. ინოვაციური დაფინანსების მოდელები:** ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავება, როგორიცაა მიწის ნაკვეთების გაცვლა, საშუალოდ კაპიტალი მიწის აღდგენისთვის და შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსება, მიწის შესყიდვისა და პროექტის განვითარების გამოწვევების გადასაჭრელად.
- 2. საჯარო-კერძო პარტნიორობა:** საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერება კომბინირებული ეკოლოგიური და ფინანსური მოდელების გამოყენებით, რათა NbS პროექტები კერძო ინვესტიორებისთვის უფრო მიმზიდველი გახდეს.
- 3. მარეგულირებელი ჩარჩოს სტანდარტიზაცია და წახალისების მექანიზმები:** რეგულაციების სტანდარტიზაცია და NbS-ის დანერგვის ხელშეწყობა წახალისების მექანიზმების გამოყენებით, როგორიცაა ეკოსისტემური გადახდების სქემები და მომხმარებლის შენატანები (მაგ., CAP-ის ფიქსირებული გადასახდის სისტემაზე უარის თქმა).
- 4. კონტექსტზე მორგებული ფინანსური სტრუქტურები:** შექმენით დივერსიფიცირებული ფინანსური სტრუქტურები, გრანტების, სესხების, კაპიტალის ინვესტიციების და მწვანე ობლიგაციების კომბინირების გზით, რომლებიც მორგებულია NbS პროექტების საჭიროებებზე.
- 5. NbS-ის ჩართვა კომუნალური და ინფრასტრუქტურის დაგეგმარებაში:** NbS-ის ინტეგრირება კომუნალური, განსაკუთრებით წყალმომარაგების სტრატეგიულ დაგეგმარებაში, რათა მათი პოტენციალი იქნას გათვალისწინებული ეკოსისტემურ სერვისებში.

წყარო: დისკუსიები OECD-ის მე-11 მრგვალი მაგიდის ფარგლებში წყლის დაფინანსების შესახებ, 2024 წლის 30-31 მაისი, ბრიუსელი.

5.2. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მონიტორინგი და შეფასება

ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების წარმატების შეფასება აუცილებელია ორი მიზეზის გამო:

- ინფორმაციის შეგროვება იმის შესახებ, მიღწეულია თუ არა მიზნები და რატომ, პროექტის ადაპტირების ან გადასინჯვის საშუალებას იძლევა შედეგების გასაუმჯობესებლად.
- ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ეფექტურობის შესახებ მტკიცებულებების შეგროვება ხელს უწყობს ცოდნის მუდმივ გაუმჯობესებას და გვეხმარება ამ გადაწყვეტილებების ძლიერი და სუსტი მხარეების გაგებაში, მათი ეფექტურობის რაოდენობრივ განსაზღვრაში და მათ მიერ უზრუნველყოფილი თანასარგებლის გაზრდაში.

ყოვლისმომცველი შეფასება უნდა ეფუძნებოდეს სავსე მონაცემებს, რომლებიც შეგროვდება მონიტორინგის გეგმის მეშვეობით გადაწყვეტილების განხორციელებამდე და განხორციელების დასრულების შემდეგ. ეს ჩარჩო უნდა მოიცავდეს წყლის ობიექტის სტატუსს და სხვა ეკოლოგიურ ასპექტებს, მაგრამ ასევე უნდა ითვალისწინებდეს სხვა სარგებელს, სოციალურ ასპექტებს და გადაწყვეტილების ეკონომიკურ ასპექტებს.

ჩანართი 10. სახელმძღვანელო მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს შესაქმნელად

- ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების გავლენის შეფასება, სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის

ეს სახელმძღვანელო მიზნად ისახავს პრაქტიკოსებისთვის ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდებას ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (NBS) ზემოქმედების შეფასების ჩარჩოს, და ასევე ინდიკატორებისა და მეთოდოლოგიების ქმედითი წყების შეთავაზებას NBS-ის ზემოქმედების შესაფასებლად 12 საზოგადოებრივ გამოწვევაზე. თანდართულ მეთოდების დანართში მოცემულია თითოეული ინდიკატორის მოკლე აღწერა და რეკომენდირებულია შესაბამისი მეთოდები კონკრეტული ზემოქმედების გასაზომად, ასევე სახელმძღვანელო მითითებები საბოლოო მომხმარებლებისთვის თითოეული მეთოდის მიზანშეწონილობის, უპირატესობებისა და ნაკლოვანებების შესახებ სხვადასხვა ლოკალურ კონტექსტში.

[ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ზეგავლენის შეფასება: სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის, 2021 წ. გვ. 373](#)

[ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ზეგავლენის შეფასება: მეთოდების დანართი, 2021 წ. გვ. 117](#)

- IUCN-ის ონლაინ თვითშეფასების ინსტრუმენტი NBS-ისთვის

ეს ონლაინ ინსტრუმენტი შედგება რვა კრიტერიუმისგან და მათთან დაკავშირებული ინდიკატორებისგან, რომლებიც ეხება მდგრადი განვითარების ძირითად მიმართულებებს (ბიომრავალფეროვნება, ეკონომიკა და საზოგადოება) და პროექტების ეფექტურ მართვას. იგი შედგება სტანდარტისა და მასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებისგან, რომელიც განუმარტავს მომხმარებლებს, თუ როგორ განახორციელონ თვითშეფასება:

- ბუნებაზე დაფუძნებული ახალი გადაწყვეტილებების შემუშავება
- საპილოტე პროექტების ეფექტურობის ამაღლება ხარვეზების იდენტიფიცირების გზით, და
- წარსული პროექტების ფარგლებში შეძენილი გამოცდილებისა და სამომავლო წინადადებების შესწავლა.

თვითშეფასების დასრულების შემდეგ, სისტემა PDF ფორმატში მოამზადებს შემაჯამებელ ანგარიშს თქვენი შედეგებით. საბოლოო შედეგი ასახული იქნება პროცენტულ მაჩვენებელში კარგ პრაქტიკასთან შედარებაში, შუქნიშნის სისტემის გამოყენებით, რაც მიზნად ისახავს იმ სფეროების იდენტიფიცირებას, რომელთა შემდგომი გაუმჯობესებაა საჭირო, რაც ხელს უწყობს ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების IUCN-ის გლობალური სტანდარტის დაცვას.

[IUCN-ის ონლაინ თვითშეფასების ინსტრუმენტი](#)

5.3. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების დაფინანსება

დაფინანსება გადამწყვეტი ფაქტორია NbS-ის დანერგვისას, რაც მოიცავს როგორც სახელმწიფო დაფინანსებას, ასევე კერძო სექტორის ინვესტიციებს.

ქვეყნები, კერძო სექტორის სუბიექტები და განვითარების პარტნიორები შეიმუშავენ მთელ რიგ სტრატეგიებს ფინანსებისა და ინვესტიციების მობილიზებისთვის NbS-ის დანერგვის ხელშესაწყობად. მაგალითად, საპილოტე პროექტები გვთავაზობენ დაბალი რისკის შესაძლებლობებს NbS-ის დაფინანსებაში ჩართვისთვის, რასაც ხელს უწყობს ამ გადაწყვეტილებების მიზანშეწონილობის დემონსტრირება და ინვესტორების ნდობის გაზრდა.

კომბინირებული დაფინანსება არის სტრატეგია, რომელიც ეყრდნობა საჯარო და ფილანტროპული დაფინანსების ერთობლიობას საინვესტიციო რისკის შესამცირებლად და კერძო დაფინანსების სტიმულირებისთვის. სტრატეგიული სექტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დამოკიდებული არიან ეკოსისტემურ სერვისებზე, როგორიცაა სტუმართმოყვარეობისა და სასმელების ინდუსტრია, შეიძლება ეფექტური იყოს NbS პროექტებში კერძო სექტორის ჩართულობის პოტენციალის დემონსტრირებისთვის.

NbS-ის დაფინანსების და დანერგვის გაფართოების ეფექტური ხელშეწყობის მიზნით, უნდა შეიქმნას ეფექტური და პრაქტიკული ჩარჩო NbS-ის ხარისხობრივი და რაოდენობრივი სარგებლის შესაფასებლად, მათ შორის ეკონომიკის, გარემოს, კეთილდღეობისა და ადგილობრივი საარსებო წყაროებისთვის. ასეთი შეფასებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია NbS-ის მხარდასაჭერად და საინვესტიციო გადაწყვეტილებების ინფორმირებული გზით მისაღებად. გარდა ამისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს NbS-ის ხარჯთეფექტურობის დემონსტრირებას ტრადიციულ ნაცრისფერ გადაწყვეტილებებთან შედარებით. გარდა ამისა, NbS-ის ნაცრისფერ ინფრასტრუქტურულ გადაწყვეტილებებთან ინტეგრირების პოტენციალის შესწავლა დაეხმარება შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს სარგებლის გაცნობიერებაში მდგრადობის, მედეგობისა და ინვესტიციებიდან ამონაგების თვალსაზრისით.

ჩანართი 11. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების დაფინანსების შესაძლებლობები

- ჰორიზონტი ევროპა
- გარემოსდაცვითი და კლიმატის ქმედებების პროგრამა (LIFE)
- ევროკავშირის დაფინანსების პროგრამები (2021-2027 წწ.)
- ევროპული ბიომრავალფეროვნების პარტნიორობა (Biodiversa+)
- COST ქმედებები

წყარო: [ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები – ევროკომისია](#)

ჩანართი 12. ინსტრუმენტები ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების დაფინანსებისთვის

- [ინვესტიცია ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებში. არსებული მდგომარეობა და საჯარო და კერძო ფინანსური ზომების თვალსაზრისით სამომავლო გეგმები ევროპაში. ევროპის საინვესტიციო ბანკი \(2023\)](#)
- [ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების სარგებელისა და ხარჯების შეფასება კლიმატის მდგრადობისთვის: სახელმძღვანელო პროექტების შემქმნელებისთვის. მსოფლიო ბანკი \(2023\)](#)
- [ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ბაზრის მიმოხილვა. ინსტიტუციური აქტივების განვითარებადი კლასი. დედამიწის დაფინანსება \(2021\)](#)

ჩანართი 13. პრაქტიკული მაგალითი: ალაზანი-იორის სააუზო მართვის გეგმის (RBMP-ს) ფარგლებში ხარჯთეფექტური NbS-ის დაფინანსების შესაძლებლობა

OECD-ის მომავალი პუბლიკაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ხარჯთეფექტურობის დანერგვის შესახებ მოიცავს დეტალურ პრაქტიკულ მაგალითს, რომლის ფარგლებში შეფასებულია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს და დაფინანსდეს NbS მდინარე ალაზანი-იორის სააუზო მართვის გეგმის (RBMP) ფარგლებში. პრაქტიკული მაგალითიდან ნათელი ხდება, რომ არსებობდა მნიშვნელოვანი პოტენციალი NbS-ის დანერგვისთვის, მაგრამ ეს მოითხოვდა სტრატეგიულ მიდგომას დაფინანსებისადმი, და დაფინანსების წყაროებისა და პარტნიორული ურთიერთობების სათანადო მართვა ეფექტურობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი სტრატეგიები, რომლებიც რეკომენდირებულია NbS-ის დაფინანსების გასაადვილებლად ალაზანი-იორის RBMP-ში:

1. დაფინანსების გზების იდენტიფიცირება:

- გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) და მწვანე კლიმატის ფონდის (GCF), როგორც დაფინანსების ძირითადი წყაროების მოაზრება
- კლიმატის საერთაშორისო ინიციატივაში (IKI) ჩართვის შესაძლებლობის განხილვა
- ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები (ESIF)
- წყლის ფონდები
- კორპორატიული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ინიციატივები
- ქრაუდფანდინგი და სათემო ინიციატივები

2. ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორობთან თანამშრომლობა:

- ადგილობრივ სახელმწიფო სააგენტოებთან პარტნიორობის ხელშეწყობა, როგორცაა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.
- თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან კერძო სექტორთან, როგორცაა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და საქართველოს მელიორაცია კერძო ინვესტიციების ინტეგრირებისთვის საჯარო პროექტებში.
- ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა, როგორცაა ELKANA (ორგანული მეურნეობისა და სოფლის ტურიზმის ქსელი საქართველოში), რომელსაც შეუძლია NbS-ის მხარდაჭერა სათემო პროექტებისა და მდგრადი ტურიზმის მეშვეობით.

3. NbS-ის ჩართვა ღონისძიებების პროგრამებში (PoMs):

- NbS-ის შეჯერება წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მოთხოვნებთან, როგორც PoM-ების ნაწილი, ყურადღების გამახვილებით წყლის ჰოლისტიკური მართვის მიდგომებზე, რომლებიც ეხება დაბინძურების როგორც წერტილოვან, ასევე დიფუზიურ წყაროებს.
- ინტერვენციების შემუშავება, რომლებიც აღადგენს ბუნებრივ ეკოსისტემებს და ეფექტურად მართავენ გარემოზე ზეწოლებს, როგორც ეს აღწერილია WFD-ის მე-5 განხორციელების ანგარიშში, რომელიც მხარს უჭერს NbS-ის ფართო გამოყენებას

4. წარმატებული პრაქტიკული მაგალითების გამოყენება:

- მიზანშეწონილია წარმატებული ფინანსური მოდელების მაგალითების მოყვანა, როგორცაა ემშერის ლანდშაფტური პარკის აღდგენა გერმანიაში, მდინარე დუნაის აუზის და მიურეი-დარლინგის აუზის აღდგენა ავსტრალიაში.
- ამ მოდელების ადაპტაცია ალაზანი-იორის აუზის ადგილობრივ კონტექსტში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ფინანსური სტრატეგიების მორგება რეგიონის სპეციფიკურ გარემოსა და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე.

5. ყოვლისმომცველი ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევების ჩატარება:

- ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების ჩატარება დამატებითი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებისთვის, NbS-ის ეკონომიკური სარგებლის შეფასება და კონკრეტული პროექტის საჭიროებების განსაზღვრა.

6. მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს შემუშავება:

- ქმედითი მონიტორინგის სისტემის დანერგვა დაფინანსებული პროექტების ეფექტურობის მონიტორინგისთვის, ანგარიშების უზრუნველსაყოფად და ფინანსური პარტნიორობის მუდმივი მხარდაჭერის ხელშესაწყობად.

წყარო: OECD 2025 (მომავალი). „ხარჯთეფექტური ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების დანერგვა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“.

5.4. რეკომენდაციები ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების უკეთესი ინტეგრაციისთვის მდინარეთა აუზების მართვის გეგმების ღონისძიებათა პროგრამაში

რეკომენდებულია NbS-ის ინტეგრირება RBMP-ების ღონისძიებების პროგრამაში. NbS-ის განზოგადების პროცესი შემდეგს გულისხმობს:

- ცოდნის შემდგომი გაფართოება და არსებული NbS-ებიდან ინფორმაციული უკუგების შეგროვება. ოპერატორები უნდა დაეყრდნონ კონკრეტულ სახელმძღვანელო მითითებებს და შედარებას სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილებებს შორის (ანუ „ნაცრისფერი“ „NbS-ის“ საპირისპიროდ), მათი განხორციელების ღირებულების, დაფინანსების წყაროების, უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით, წინამდებარე კატალოგი არის ძლიერი ინსტრუმენტი NbS-ის ფართოდ დანერგვისთვის და იგი ასევე წარმოადგენს ცოდნის წყაროს გადაწყვეტილებების ტიპების, ტექნიკური მახასიათებლებისა და ხარჯების შესახებ.
- მონაცემთა შეგროვება NBS-ის ხარჯთეფექტურობის შესახებ და ძლიერი არგუმენტების მომზადება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების დასარწმუნებლად.
- შესაბამისი სასწავლო კურსების და საკომუნიკაციო ინსტრუმენტების შემუშავება ყველა დაინტერესებულ მხარეში ცნობიერების ასამაღლებლად, პრეზენტაციების ან სპეციალური სამუშაო ჯგუფების მეშვეობით. კლიმატის ცვლილების ადაპტაციის, შერბილების და ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ზუსტი განმარტების გაზიარება და გარკვეულ გადაწყვეტილებთან დაკავშირებული პოტენციური დაბალი ადაპტაციის რისკების აღწერა.

6. სარეფერენციო წყაროები

6.1. ტექნიკური და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო დოკუმენტები

კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ. ბიომრავალფეროვნების გეგმა დედამიწაზე სიცოცხლის შესანარჩუნებლად. <https://www.cbd.int/gbf/targets>

დუმიტრუ, ადინა; ვენდლინგი, ლორა. 2021. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ზემოქმედების შეფასება: მეთოდების დანართი. კვლევებისა და ინოვაციების გენერალური დირექტორატი (ევროკომისია). <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/6da29d54-ad4e-11eb-9767-01aa75ed71a1>

ევროკომისია, კვლევისა და ინოვაციების გენერალური დირექტორატი, თ, უაილდი, 2020. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, რომლებიც აუმჯობესებენ წყლის ხარისხს და წყლის ობიექტების მდგომარეობას – ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების ანალიზი, ევროკავშირის პუბლიკაციების ოფისი. <https://data.europa.eu/doi/10.2777/2898>

ევროკომისია, კვლევებისა და ინოვაციების გენერალური დირექტორატი, 2021. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ზეგავლენის შეფასება: სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის. <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/d7d496b5-ad4e-11eb-9767-01aa75ed71a1>

ევროკომისია, 2023. WFD ანგარიშების სახელმძღვანელო 2022 წ. https://cdr.eionet.europa.eu/help/WFD/WFD_715_2022/Guidance%20documents/WFD%20Descriptive%20Reporting%20Guidance.pdf#page=292

ევროკომისია, ევროპული კვლევების ადმასრულებელი სააგენტო, 2023. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები – ევროკავშირის მიერ დაფინანსებული nbs კვლევითი პროექტები ეხმარებიან კლიმატსა და ბიომრავალფეროვნების კრიზისთან დაკავშირებული გამოწვევების გადაჭრაში, ევროკავშირის პუბლიკაციების ოფისი, 2023 წ. <https://data.europa.eu/doi/10.2848/879543>

ევროკომისია, 2024. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები. https://research-and-innovation.ec.europa.eu/research-area/environment/nature-based-solutions_en

UNEP, 2022. გაერთიანებული ერების გარემოს დაცვის ასამბლეის მიერ 2022 წლის 2 მარტს მიღებული რეზოლუცია. მეხუთე სესია, ნაირობი (ჰიბრიდული) 2021 წლის 22 და 23 თებერვალი და 28 თებერვალი – 2022 წლის 2 მარტი. <https://wedocs.unep.org/bitstream/handle/20.500.11822/39864/NATURE-BASED%20SOLUTIONS%20FOR%20SUPPORTING%20SUSTAINABLE%20DEVELOPMENT.%20English.pdf>

UNFCCC, 2022. შარმ ელ შეიხის განხორციელების გეგმა. მხარეთა კონფერენცია, 27-ე სესია, შარმ ელ შეიხი, 2022 წლის 6-18 ნოემბერი. გადასინჯული ვერსია. https://unfccc.int/sites/default/files/resource/cp2022_L19_adv.pdf

ს. გერსტეტერი, ი. ჰერბი, ა. მატეი, 2020. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მეინსტრიმინგი: მდგრადი განვითარების მიზნები, NATURVATION-ის გზამკვლევი.

<https://www.ecologic.eu/sites/default/files/publication/2021/2808-mainstreaming-nbs-for-sdg-web.pdf>

IPBES, 2024. <https://www.ipbes.net/>

IPCC, 2024. კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი. <https://www.ipcc.ch/>

IUCN, 2020. IUCN-ის გლობალური სტანდარტის გამოყენების სახელმძღვანელო ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში: პირველი გამოცემა. <https://doi.org/10.2305/IUCN.CH.2020.09.en>

IUCN, 2020. IUCN-ის გლობალური სტანდარტის გამოყენების სახელმძღვანელო ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში: პირველი გამოცემა. <https://doi.org/10.2305/IUCN.CH.2020.08.en>

IUCN, 2022. COP27-ის ეგვიპტეს პრეზიდენტობის ფარგლებში, გერმანია და IUCN აცხადებენ ENACT ინიციატივას ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისთვის. <https://www.iucn.org/press-release/202211/egyptian-cop27-presidency-germany-and-iucn-announce-enact-initiative-nature>

IUCN, 2024. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები. <https://www.iucn.org/our-work/nature-based-solutions>

IWRM Action Hub, 2024. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები. <https://iwrmactionhub.org/learn/iwrn-tools/nature-based-solutions>

წყლის შეკავების ბუნებრივი ზომები (NWRM). სარგებელის ცხრილები. <http://nwrn.eu/catalogue-nwrn/benefit-tables>

NBS ინიციატივა, 2024. <https://www.naturebasedsolutionsevidence.info/>

OECD, 2020. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები წყალთან დაკავშირებული კლიმატის რისკებთან ადაპტაციისთვის. <https://www.oecd.org/environment/nature-based-solutions-for-adapting-to-water-related-climate-risks-2257873d-en.htm>

რამსარი, 2022. ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაცვა, კონსერვაცია, აღდგენა, მდგრადი გამოყენება და მართვა კლიმატის ცვლილების გადაჭრის კონტექსტში. რამსარის კონვენციის ხელშემკვრელ მხარეთა კონფერენციის მე-14 შეხვედრა ჭარბტენიანო ტერიტორიების შესახებ; „ჭარბტენიან ტერიტორიებთან დაკავშირებული ქმედება ხალხისა და ბუნებისთვის“, ვუჰანი, ჩინეთი და ჟენევა, შვეიცარია 5-13 ნოემბერი 2022წ. https://www.ramsar.org/sites/default/files/documents/library/xiv.17_climate_change_e.pdf

UNEP, 2022. გაეროს გარემოს დაცვის ასამბლეის 5 (UNEA 5.2) რეზოლუციები. <https://www.unep.org/resources/resolutions-treaties-and-decisions/UN-Environment-Assembly-5-2>

6.2. პრაქტიკული მაგალითები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და ტექნიკური რეფერენციები

